# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 15 სექტემბერი, 2010 წელი.

№172 (6538)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## სამშობლო — ღვთისგან ბოძებული სამთავრო ②

ეკლესიური ახალი წელი დაიწყო

## გილოცავთ პირველ ზარს!




## ⑫ გმირების სახელით პოლიტიკური ვაჭრობა დაუშვებელია

## ჩვენგან განსხვავებით ირანში ⑫ კანონი კანონია

## როდის იქნება ⑯ „მეორე წარღვნა“?

## ⑬ სამხედრო ბაზები იარაღის სანაცვლოდ

③

დალამდა!
შეერთდით,
შეერთდით,
შეერთდით!
კომბლები,
კომბლები,
კომბლები ჩქარა!



## მიშარელა — დიდი ღამე!

## ჩემი „ინგლისელი“ ბებია ②



## ქართველი ჟურნალისტის გიორგი ლონდაძის მკვლელობის შემკვეთი ცნობილია ⑪

## საქართველოს სარჩელი რუსეთის რეპუტაციას შელახავს? ⑥



◎ ეკლესიური ახალი წელი დაიწყო

# სამშობლო — ღვთისგან ბოძებული სამთავრო



**გუშინ, 14 სექტემბერს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ინდიქტიონის, ანუ ეკლესიური ახალი წლის დაწყება აღნიშნა. ამის გამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II სიონის საკათედრო ტაძარში პარაკლისი გადაიხადა.**

**წმინდა ეკლესია „ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედს“ შესთხოვს „აკურთხოს გვირგვინი წელიწადისა“.**

ახალი სტილით 14 სექტემბრიდან წელიწადის ათვლა უძველესი დროიდან მოდის და პირველი მსოფლიო კრების გადაწყვეტილებას უკავშირდება. წმინდა სახარების მიხედვით, მაცხოვარი ნაზარეთში, სინაგოგაში შესულა და ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები წაუკითხავს: „სული უფლისაი ჩემ ზედა, რომლისათვის მცხო მე... ქადაგებად წელიწადი უფლისა შეწყნარებული“.

312 წლის 14 სექტემბერს კონსტანტინე დიდს გამანადგურებლად დაუმარცხებია მაქსენციუსი, რის შემდეგაც ქრისტიანებს სარწმუნოების აღსარების სრული თავისუფლება მიენიჭათ.

უწმინდესმა, პარაკლისის დაწყებამდე, სასულიერო აკადემია-სემინარიის სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

პატრიარქმა განაცხადა, რომ ყველა ახალგაზრდა, რომელმაც ჩააბარა ან ვერ ჩააბარა გამოცდები სემინარიაში, ჩარიცხული არიან. ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროში და სულიერი ფასეულობები თითქოს მნიშვნელობას კარგავს: „ის, კულტურა, რომელიც მოდის უცხოეთიდან, უნდა ვიცოდეთ, მაგრამ უნდა მივიღოთ ის, რაც ჩვენ გვჭირდება და არ უნდა ვიყოთ უცხო კულტურის ბრმა თაყვანისმცემლები“, — ბრძანა უწმინდესმა.

მისი თქმით, ჩვენი კულტურა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ ფასეულობებმა საქართველო გადაარჩინა და დღემდე მოვიდა, მათ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ.

„ეს არის არა ჩემი ან ვინმე კიდევ სხვის დამსახურება, არამედ — უფლის და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მფარველობის“, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

პატრიარქი ქადაგებებში ხშირად უსვამს ხაზს სამშობლოს მნიშვნელობას და მისი სიყვარულის აუცილებლობას. მან სამების საკათედრო ტაძარში ახლახან, საკვირაო ქადაგების დროს ბრძანა, რომ სამშობლო ღვთისგან ბოძებული სამთავროა; „ეს არ არის მხოლოდ მიწა-წყალი. ეს არის ჩვენი ფესვები. ხოლო ვინც ამ ფესვებს მოშორდება, ძნელად გაიხარებს“.

პატრიარქმა ჩვენი დიდი წინაპრის ილია ჭავჭავაძის ანდერძად დანატოვარ სამ სათნოებაზე: ენაზე, მამულზე და სარწმუნოებაზე გაამახვილა ყურადღება: „ჩვენ ამით ვსაზრდოობთ. დღეს არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ეს ცოტათი განვავითარეთ და გამოვთქვით: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“.

პატრიარქმა ისიც დასძინა, რომ ჩვენს ქვეყანასა და ეკლესიას იცავს სიყვარულზე, სარწმუნოებაზე, ღვთის დიდებაზე დაფუძნებული ქართული იდეა. მან მოუწოდა საზღვარგარეთ წასულ ქართველ სტუდენტებს საკუთარ მიწა-წყალს დაუბრუნდნენ.

**ნატა ნიბლაძე**

◎ ინფორმაცია

## პედაგოგებისთვის ინგლისური და კომპიუტერი აუცილებელია

**2011 წლის მარტიდან, პედაგოგებისთვის ინგლისურის და კომპიუტერის კურსები იწყება.** ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. „როგორც იცით ჩატარდა პედაგოგთა სერთიფიკაციის გამოცდები და სერთიფიცირებულ პედაგოგებს ხელფასზე 75 ლარი დაემატებათ. მომავალი წლის მარტიდან ვიწყებთ კომპიუტერის და ინგლისურის კურსებს მასწავლებლებისთვის, სადაც წარმატების შემთხვევაში პედაგოგების სახელფასო დანამატი 200 ლარი იქნება, — განაცხადა მანჯგალაძემ.

## მთავრობა სამთავრობო საათზე უნდა დაიბარონ და არა დებატებზე

**საპარლამენტო უმრავლესობა, „ქრისტიან-დემოკრატების„ მოთხოვნას ფასების ზრდასთან დაკავშირებით პარლამენტში პოლიტიკური დებატების გამართვისა და დებატებზე პრემიერ-მინისტრის მოწვევის შესახებ უარით შეხვდა.**

პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნულის მიზეზად პარლამენტის რეგლამენტი დაასახელა.

— პოლიტიკური დებატების გამართვის წესი გაწერილია რეგლამენტში. განსაზღვრულია თუ ვინ უნდა გამოვიდეს და რამდენი წუთით, და რეგლამენტი პოლიტიკურ დებატებზე არც პრემიერ-მინისტრის და არც მინისტრის მოწვევას არ ითვალისწინებს, — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

მაჭავარიანი საპარლამენტო ოპოზიციას სთავაზობს, რომ გააკეთოს არჩევანი პოლიტიკური დებატების გამართვასა და მთავრობის მოწვევას შორის. გარდა ამისა, მაჭავარიანმა „ქრისტიან-დემოკრატებს“ ისიც შეახსენა, რომ მათ უფლება აქვთ, თვეში ერთხელ მოითხოვონ სამთავრობო საათის გამართვა და სამწუხარო უწოდა იმ ფაქტს, რომ ოპოზიცია ამ საშუალებას არ იყენებს. სწორედ ამიტომ, მაჭავარიანი ოპოზიციას ადეკვატურად მოქმედებისაკენ მოუწოდებს და ურჩევს, მთავრობა სამთავრობო საათზე დაიბარონ და არა პოლიტიკურ დებატებზე.

მაჭავარიანის ეს გამოსვლა „ქრისტიან - დემოკრატების“ წარმომადგენელმა ლევან ვეფხვაძემ გააპროტესტა. ვეფხვაძემ მაჭავარიანს შარშანდელი ფაქტი შეახსენა, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული და პრეზიდენტი პარლამენტში პოლიტიკურ დებატებზე მივიდა. შესაბამისად ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ნების შემთხვევაში დებატებზე არც პრემიერ-მინისტრის გამოცხადება იქნება შეუძლებელი.

**ХО-ЭОБ-ЭБО**

◎ წკეპლიკა

# ჩემი „ინგლისელი“ ბებია

**პირდაპირ „ეთერში“ ვერ ჩაგერთოზოდით ქობულეთიდან, იქ ახლახან შემდგარი გამსვლელი მორიგი სამთავრობო სხდომიდან: ოპოზიციურ მედიას ხელისუფლება ნაკლებად სწყალობს და არ იწვევს „საქორწილო მოგზაურობებში“...**

სამაგიეროდ თბილისში, ჩემს მყუდრო ბინაში ვიჯექი ტელეეკრანთან, პრეზიდენტის კიდევ ერთ „საინგლისურენო“ ქადაგებას ჩასაფრებული და იქიდან, ანუ ირიბი „ეთერიდან“ გაწვდით შთაბეჭდილებებს.

შე კაი ბებიის შვილიშვილო (პრეზიდენტს მივმართავ, მზია ბებიაც რომ ახსენა, მაგრამ ამაზე ცალკე ქვემოთ.ძ, ინგლისურ ენას რომ მშობლიური ქართულით ამხელა პროპაგანდას უწევ (მსოფლიოში პირველი ენააო და ეგებ მართალიც ხარ.ძ, ასე ხმამაღლა მაინც ნუ იძმ, ნუ აწყენინებ ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, არაბულენოვანებს; და იქვე რომ ასევე ხმამაღლა დასძინე — მსოფლიოში ქართულად არავინ ლაპარაკობსო, ეგებ (ამაშიც სწორი იყო.ძ, ნურც შენს თანამემამულეებს აწყენინებ — ასეთი საჯარო განცხადება ცოტა გულსატკენი ხომ არის; თანაც სხვა რამეცაა „შენიშვნადი“... მშობლიური ქართულით ინგლისურის პროპაგანდა რომ ვახსენე, იმ ქართულს პირველი პირის ენაპირით გამართული ამეტყველება ხომ უნდა! აბა ნახე, როგორი „მარგალიტები“ დააფრქვია ქობულეთის არცთუ საიდუმლო სეროზაზე:

„მე და ლევანი დავზოდიალობდით“ (გეკითხა მაინც წინასწარ ლევან ვარშალომიძისათვის, თანახმა იყო თუ არა „ბოდიალზე“ — **ლ.გ.**ძ; „აქედან ბათუმამდე 15 წუთია“; „პარკები, რომელიც იქ ყრია“; „ეს არის ძალიან დიდი სამუშაოს საკითხი“; „საქართველოს ეკონომიკური ისტორია (“ძ; „უნდა დამთავრდეს მომავალი წლის პირველ აგვისტოში;“ „ყველა კმაყოფილებია;“ „საზღვარზე ჩხრეკა იყო ჩამორჩენილი;“ „ამან მოგვიხდა მაშინ მოხსნა;“ „ყველა მასწავლებელი უნდა იცოდეს ინგლისური;“ „როგორ არის გამოხმაურება ამ თქვენი აყვანით„(ტელევარსკვლავ მინისტრს შაშკინს ჰკითხა და ოჯახებში ინგლისურის უცხოელი „მანდატურების“ აყვანა იგულისხმა. **ლ.გ.**ძ;“ ჩვენ რო მაგრები ვართ, მსოფლიოს გავაგებინოთ“ (ამაში კი ნამდვილად გამოგვადგება ინგლისური — **ლ.გ.**ძ...

„მოზოდიალე“ ქართულში არც მინისტრები ჩამორჩნენ: ერთმა — „სწორედ ის ნიშაო“ (მიშას ხათრით, ალბათ, თორემ დროა გავარჩიოთ, რომ რუსულად „ნიშა“ ქართულად არის ნიშიძ; მეორემ — ახალი სიახლეები (?ძ დავნერგეთო; მესამემ — რამოდენიმე (რამდენიმე!ძ წამში გადიან პროცედურებსო...

მზია ბებიას რაც შეეხება — ბებიარჩემმა მზიამ სულ არ იცოდა ინგლისური, ბოლო ხანებში მოინდომა და ახლა გვარიანად ლაპარაკობსო, ბრძანა მიხეილ-ბატონმა.

ჩემი მდაბიური შეხედულებით, სახელმწიფოს მეთაური ასე საჯაროდ და ჰაი-ჰარად არ უნდა ახსენებდეს ოჯახის წევრებს, მახლობლებს — მეუღლე სანდრა იქნება, უმცროსი ვაჟიშვილი ნიკა თუ ბებია მზია... ისე კი, მზია ბებიას გაინგლისურებამ ცულლუტურ-პოეტური მუზა გამიღვიძა: „ჩარი-ჩარი-ჩარი რამა, ჩარი რამა ბებია, ინგლისური გვარიანად მოგიწადინებია“.

კიდევ აი რა: ქართველებმა, ერთმანეთს როცა არ ვეთანხმებით (რაც საკმაოდ ხშირად ხდება.ძ, ზოგჯერ ასეთ შეხუმრებას მივმართავთ — ბებიაშენისამო; ვაითუ ახლა ახალი ფორმა გაჩნდეს — ბებიაშენის ინგლისურისამო...

**ლუკა გორგაძე**

◎ საჩუქრიანი მილოცვა

# პრეზიდენტის საჩუქარი პირველკლასელებს

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსწავლეებს, განსაკუთრებით კი პირველკლასელებს, სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს. 3000 პირველკლასელი და ათოსანი მეათე კლასელები პრეზიდენტის საჩუქარს — ნოუთბუქს მიიღებენ. ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინგზე, პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.**

**— საქართველოს პრეზიდენტის დავალებით მინდა ყველა მოსწავლეს, განსაკუთრებით პირველკლასელებს მივულოცო სასწავლო წლის დაწყება. ამასთან, მინდა გითხრათ, რომ 3000 პირველკლასელი პრეზიდენტის საჩუქარს - ნოუთბუქს მიიღებს. 1-ელ კლასელები ნოუთბუქებს მიიღებენ ბათუმში და ზუგდიდში სრულად, ნაწილობრივ ქუთაისის და თბილისის საპილოტო სკოლებში. მომავალი წლიდან კი პირველკლასელებს პრეზიდენტი გაცილებით მეტ ნოუთბუქს გადასცემს“ — განაცხადა პრესსპიკერმა და დასძინა, რომ პრეზიდენტის გადწყვეტილებით, ყველა მეათეკლასელი ათოსანი მოსწავლეც საჩუქრად ნოუთბუქს მიიღებს.**



◎ ეს უნდა ვიცოდეთ!

# ორიოდ სიტყვა თავისუფლების შესახებ

**ნებისმიერი ენის სიმდიდრე გამოიხატება არა მარტო ძირითადი ლექსიკური ფონდით, ასევე ცალკეულ სიტყვებში აზრობრივი, ფილოსოფიური მუხტის არსებობით. ამ მხრივ საინტერესოა ქართული სიტყვა „თავისუფლება“. დავუკვირდეთ ამ სიტყვას. იგი მიუთითებს ჩვენს უფლებაზე — თავის უფლებაზე, თუ რა უფლებები, რა მოვალეობანი გვაქვს. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს თავის თავის შეცნობის კატეგორიულ მოთხოვნას.**

„შეიცან თავი შენი“ — ბრძანებდა სოკრატე. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ კამიუს, რომ ადამიანი იბადება იმ მომენტიდან, როცა იგი აცნობიერებს თავის თავს, როგორც შემეცნების სუბიექტს. თავისუფლება უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს უფლებათა ცოდნას და განსაზღვრას, მათ სწორ შეფასებასა და გამოყენებას, როდესაც ხდება გადაწყვეტილების მიღება, ჩვენ უნდა ავირჩიოთ ცხოვრების ისეთი წესი, რაც მაღალი ღირებულებების მატარებელია, სწორედ არჩევის, შეფასების პროცესში იქმნება ღირებულება (ეს არცთუ ისე ადვილია ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამოძ. თავისუფლება იწყება იქ, როცა ადამიანს უჩნდება უნარი გადალახოს საკუთარი ცხოველური არსი და შექმნას თავისთვის ახალი „მზე“ — აღნიშნავდა ჰეგელი.

მერაბ მამარდაშვილი თავისუფლების შესახებ წერდა: „Свобода _ это тогда, когда свобода одного человека упирается в свободу другого и имеет последнюю своим условием“. ამ საკითხს უშუალოდ უპასუხებს არისტოტელე, რომ მოქალაქე უნდა იყოს პასუხისმგებელი თავის ყოფიერებაზე, მან უნდა იცოდეს, თუ რამდენად შეესატყვისება იგი მოცემულ სიტუაციას, როგორ შეაფასოს თავისი თავი სხვებთან მიმართებაში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნამდვილი არსებობა ადამიანისა უნდა იყოს პირობადებული ზნეობრივი და აზროვნების აქტებით. თავისუფლება ეფუძნება ერთის მხრივ Cogito-ს და მეორე მხრივ, მორალურ პრინციპს.

თავისუფლება არის ერთგვარი თვითკონტროლი, თავისებური ცენზორი უფლება-მოვალეობის შესრულებისა და დაცვის მიზნით. ამიტომ ბრბოს ცნობიერების მატარებელი ვერ იქნება და არც შეიძლება იყოს თავისუფალი, იგი ღირებულებათა ორიენტაციის გარეშე დგას.

ზოგს თავისუფლება ესმის როგორც განუსაზღვრელი უფლებამოსილება, ხშირად თვითნებობა. თავისუფლების ასეთი არასწორი გაგებისა გამო ილუპებიან ადამიანები, ინგრევა ღირებულებათა სისტემა, ირყვნება ადამიანთა ცნობიერება, ხდება აღზევება აგრესიისა, ამბიციურობისა, უცოდინარობისა, იწყება ნიჰილიზმი, ჭეშმარიტება ადგილს უთმობს ეკზალტაციას, დანაშაული და ძალადობა ხდება უზენაესობად, ბატონობს დებულება — ყველაფერი დასაშვებია. თავისუფლების ასეთმა გაგებამ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა დღევანდელ მდგომარეობამდე, განსაზღვრა როგორც ეკონომიკური, ასევე სულიერების კრიზისი, ყველაზე დიდი საფრთხე სამართლებრივი სახელმწიფოს შენებისა.

**ლონდა მდივანი**

№ 172. ოთხშაბათი, 15 სექტემბერი, 2010 წელი.

გულის ბუხარი

# მიშარელა – დიდი ღამე!

## გვჭირდება ქარტია, რომელშიც შავით თეთრზე ჩაიწერება...

*წიგნიერი მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ წინამდებარე წერილის სათაური გრიგოლ აბაშიძის ცნობილი რომანების სათაურთა პერიფრაზია.*

*ეს რომანები საქართველოს შორეული წარსულის, თამარის დროინდელი ეპოქის შესახებ მოგვითხრობენ, ვიდრე თამარის ძის, გიორგი-ლაშას ტრაგიკულ აღსასრულამდე, რის შემდეგაც საქართველო ნახევრადველურ მონღოლთა ურდოების სათარეშო ასპარეზად იქცა მთელი საუკუნის განმავლობაში და სწორედ ამ პერიოდს უწოდა ავტორმა „დიდი ღამე“. ანუ, ჟამი ქართველი ერის დაღმასვლისა.*

თუმცა, ეს „ჟამი დაღმასვლისა“, სამწუხაროდ, მონღოლთა საუკუნოვანი ბატონობით არ შემოფარგლულა. მონღოლებიც გავაძევეთ გიორგი ბრწყინვალის მეფობისას, მაგრამ მომავლის პერსპექტივაში მაინც არ გაგვითენდა ქართველებს ის „დიდი ღამე“. ხან საკუთარი, ქართული სუბიექტური თვისებების გამო, უფრო ხშირად კი გლობალური, ისტორიული, ახლა რომ გეოპოლიტიკას ვეძახით, ობიექტური რეალობის გამო.

თუმცა გიორგი ბრწყინვალის პიროვნული მასშტაბის გმირი მეფეები მონღოლთა შემდეგაც არა ერთი იცის ჩვენმა ისტორიამ, მაგრამ სწორედ ზემოთ ხსენებული ისტორიული, ობიექტური ფაქტორების გამო მათ ვერ შეძლეს მისივე მასშტაბების საქმეთა კეთება და ამიტომაც ისინი ვახტანგ გორგასალის, ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლის, იგივე გიორგი ბრწყინვალის უიღბლო ეპიგონებად შევიდნენ საქართველოს ისტორიაში. დიახ მხოლოდ ეპიგონებად, რადგან ალექსანდრე დიდის, ლუარსაბ პირველის, დელი სვიმონის, პატარა კახის თუ სხვათა გამონათებები, მონღოლთა შემდგომ 600-წლოვან „დიდ ღამეში“, მათი გმირობები ბრძოლის ველზე თუ ზნეობრივ ფრონტზე, ეპიზოდურად, დროებით აფერხებდა ქართველთა დაცემისა და დაკნინების შეუქცევად პროცესს.

ასე მოვიტანეთ XIX საუკუნემდე, როგორც დიდმა ილიამ ბრძანა, „ქრისტეს ჯვრისთვის ჯვარცმულმა ქართველებმა“ გვემული სხეული, შეურყვნელი სული და ღვთით ბოძებული მიწა ქართული – ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის ნაწილი გავხდით. და სწორედ ამის მერე, ბოლოს და ბოლოს, საუკუნეთა განმავლობაში ზღვა სისხლ და ცრემლდაღვრილმა საქართველომ მეტნაკლებად ხელსაყრელ, მშვიდობიან გარემოში დაიწყო, უწინარესად კატასტროფულად შემცირებული მოსახლეობის მატება და განვითარება.

**რომ არა 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალება, ვინ იცის, ახლა იქნებ მართლაც დამოუკიდებელი, სრულუფლებიანი წევრი ვყოფილიყავით ევროპული ოჯახისა, ისე, როგორც, მაგალითად, ფინეთია დღეს, რომელიც, თავის დროზე, ჩვენსავით რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო.**

70-წლიან კომუნისტურ მმართველობასაც გავუძელით და გასული საუკუნის მიწურულს თითქოს ჩვენთვისაც გაიხსნა თავისუფლებისკენ მიმავალი გზები, მაგრამ დღეს, თუმცა ვითომ ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, ჩვენს მტერს ამისთანა დამოუკიდებლობა – ვისაც არ ეზარება, თავში გვიტყაპუნებს, ჭკუასაც გვასწავლის და იმასაც, როგორ და რითი უნდა ვიცხოვროთ. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები კი იმდენად დამანგრეველი, დამთრგუნველი აღმოჩნდა ჩვენთვის, რომ ხანდახან ეჭვი მეპარება, არათუ ხვალ და ზეგ, როგორც ამას გვპირდებიან ხელისუფალნი, არამედ საერთოდ, ოდესმე, დავდგებით ფეხზე, დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს?

დაბრუნებას ვინღა ჩივის, ნეტავ ის შეგვარჩინა, რაც ჯერ კიდევ ჩვენად ითვლება! და თუ ვინმე, ოპოზიცია იქნება თუ ხელისუფლება, საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ის ან ბრიყვია, ან შეგნებული პოპულისტი დემაგოგი.










ყოველ შემთხვევაში, როგორც რუსები იტყვიან, „в обозримом будущем“ სოხუმ-ცხინვალზე ოცნებაც არ შეიძლება. ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება ვიქონიოთ, არის ის, რომ აფხაზეთში ისე, ტურისტად მაინც ჩაესვლებოდეს ქართველ კაცს, მაგრამ ესეც კი, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, პრაქტიკულად გამორიცხულია.

სხვა, ნებისმიერი, ყველაზე ძლიერი და სამშობლოს მოყვარული ხელისუფლების პირობებში, შედარებით მოკლე ხანში, ვიმეორებ, სამწუხაროდ, მხოლოდ ქართველი კაცის ტურისტის სტატუსით ჩასვლა იქნება შესაძლებელი ამ მართლაც ულამაზეს კუთხეში. რაც შეეხება შორეულ პერსპექტივებს, იმ სახით და სტატუსით, როგორც აქამდე იყო აფხაზეთ-სამაჩაბლო საქართველოს შემადგენლობაში, ეს ნებისმიერ შემთხვევაში გამორიცხული ამბავია და რაც დროზე მივხვდებით ამას ქართველები, მით უკეთესი, რათა მომავალში კონფედერაციაზე თუ სხვა სახის სახელმწიფოებრივ კავშირგაერთიანებაზე ვიფიქროთ.

თუმცა თუ ასეთი რამ შესაძლებელი იქნება, ამის მიღწევას არა ერთი და ორი თაობის ძალისხმევა დასჭირდება.

**მანამდე, მანამდე რა ვქნათ ქართველებმა? რა და, იმას უნდა მივხედოთ, რაც ღვთის ნებით ჯერ კიდევ შეგვრჩა. ამისათვის კი საჭიროა სასწრაფოდ, უმოკლეს ვადებში მოვიშოროთ ეს ქართველთმოძულე, ქართველთყლაპია ხელისუფლება.**

წერილის დასაწყისის არცთუ მცირე ისტორიულ ექსკურსში ძირითადად საქართველოს გარეშე, მოსისხლე მტრებზე იყო აქცენტები და არაფერი თქმულა მაშინდელ ხელისუფლებებზე. როგორ არა, დღევანდელზე პირსისხლიანი მანიაკი მეფეებიც გვყოლია, მაგრამ ნაცების მსგავსი, რომელთაც არა მხოლოდ სძულთ ყველაფერი ქართული, არამედ ყოველივე ქართულის, ტრადიციულის, მართლმადიდებლურის მიზანმიმართულად ამოძირკვას ესწრაფვიან, ჩემი ღრმა რწმენით, არასოდეს გვყოლია.

ჩვენი შვილების, შვილიშვილების გარყვნა ამ ბოლო წლის მანძილზე ისე წარმატებით მიმდინარეობს, რომ ახალგაზრდობის უმრავლესობა ლამის ბოლომდეა დაცლილი ყოველივე ეროვნულის განცდისგან. ამიტომ ყველაზე დიდი უბედურება არის ის, რომ ჩვენი შვილები ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ დგანან გადაგვარების გზაზე, და არა დაკარგული ტერიტორიები.

ენა, მამული, სარწმუნოება... დიდი ილიას მიერ შექმნილი ქართველობის განმსაზღვრელი ფორმულა, რაზედაც გაიზარდა, აღიზარდა მამაჩემის, ჩემი და მომდევნო თაობები, ჩვენი შვილებისთვის, უკეთეს შემთხვევაში, ღიმილის მომგვრელია, ხოლო უარესში, სრულ ანაქრონიზმად ჟღერს მათი ყურებისთვის და თვალი მიშას მითითებული ბუჩქებისკენ გაურბით მხოლოდ.

ამასვე ემსახურება ჩვენი ე.წ. განათლების რეფორმა და ტელევიზიების აღვირახსნილი პროპაგანდა ფსევდოლირებულებებისა – რა დროს სამშობლო და ღმერთია, მიდით, ჭამეთ, სვით და დრო ატარეთ, ჩვენს მერე ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილა! – აი, მთავარი გზავნილი ტელეპროპაგანდისა, მთავარი დანიშნულება ე.წ. პატრიოტული ბანაკებისა თუ ერეკლე დეისაძის „ავანგარდული“ ლიტერატურისა.

**ერთადერთი, ვინც ამ ყველაფერს მეტნაკლებად ეწინააღმდეგება და ფეხებში ებლანდება „თავისუფლების ინსტიტუტში“ მოკალათებულ მსოფლიო გლობალისტ მასონთა აგენტებს, ეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა, მაგრამ ეს ღვთით მოვლენილი კაციც რომ ლამის ჩვენს თვალწინ მოიდნეს, ვერ ვხედავთ?**

ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს მის უწმინდესობას, მაგრამ უკვდავი არც ის არის და როგორც დაუნდობელი სვავები, ისე ელოდებიან, როგორც ამბობენ, მათივე მეცადინეობით დაუძლურებული მოხუცის აღსასრულს „თავისუფლების ინსტიტუტის“ მანქურთები, რათა ეცნენ და ნაწილ-ნაწილ დაფლითონ საქართველოს დედაეკლესიის ჯერ კიდევ ერთიანი სხეული, ხოლო ილია II ტახტზე ვინმე ხლისტი წამოასკუპონ, რომელიც რიგითი სექტის დონეზე დასცემს ჩვენს გადამრჩენელ მართლმადიდებლობას.

აი, ეს არის არასრული სურათი ჩვენი დღევანდელი მწარე რეალობისა. არასრული, რადგანაც სხვა რამეებითაც შეიძლება ამ სურათის დამძიმება, პოლიტპატიმრები იქნება ეს, ზოგადად პატიმრების უპრეცედენტო რაოდენობა, პოლიციური რეჟიმი და, აქედან გამომდინარე ტოტალური უსამართლობა თუ სხვა, მაგრამ, ვფიქრობ, უამისოდაც, რაც ითქვა, სიტუაცია იმდენად მძიმეა, რომ განგაშის ზარებია დასარისხებელი.

### დაღამდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით! კომბლები, კომბლები... კომბლები ჩქარა!

**წერილის ეს ქვესათაური გალაკტიონის ლექსის პერიფრაზა რომ არის, ამასაც ადვილად მიხვდება მკითხველი. ჰოდა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მინდა მოვუწოდო რეალურ პოლიტიკურ ოპოზიციურ პარტიებსა თუ საზოგადოებაში ავტორიტეტულ, ოპოზიციურად განწყობილ ცალკეულ პიროვნებებს – ბოლოს და ბოლოს, დროებით მაინც გაერთიანდნენ, რაც, გარდა იმისა, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობის მოთხოვნაა, ერთადერთი საშუალებაა იმ ხელისუფლების დასამხობად, რომელიც ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბდა ისეთ მონსტრად, რომ მასთან ცალ-ცალკე ვერავინ ვერაფერს გახდება.**

დიახაც, დასამხობად და არა შესაცვლელად, რადგანაც სიტყვა ცვლილებებს ხელისუფლების კეთილი ნების შემთხვევაში აქვს არსებობის უფლება, ესენი კი კეთილი ნებით არაფრის დათმობას რომ არ აპირებენ, ეს ვისაც არ ესმის, მისი ადგილი პოლიტიკაში ნამდვილად არ არის. თუმცა არც სიტყვა „დამხობა“ მიხმარია აპრიორი სისხლისღვრის სურვილით, მაგრამ მათ, რომელთაგან დღეს ზოგი საარჩევნო გარემოს შეცვლისთვის იღვწის, ზოგს ე.წ. სახალხო წარმომადგენლობითი კრებისა ეიმედება, ზოგსაც კი ჰააგის ტრიბუნალზე უნდა სააკაშვილის გასამართლება, უნდა იცოდნენ, რომ მათი მშვიდობიანი გეგმები შეიძლება ნაცების ყრუ, ბრმა, ჯიუტი ხელისუფლების კედელზე დაიმსხვრეს და კომბლების ვარიანტიც არ უნდა გამოირიცხოს.

ზოგადი ლაპარაკი სხვისი მეზარება, რადგანაც ამ ზოგადი ლაილაის გამო კონკრეტული ქვეყანა, ჩვენი სამშობლო, ლამის არის, თავზე დაგვენგრეს. თუმცა რატომ ლამის? დაგვენგრა და მეტი არა? ჰოდა, მეც კონკრეტული ვიქნები. ნათქვამია, ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს – მღვდლის ცოლიო, მაგრამ ახლა სიმპათია-ანტიპათიების დაფიქსირების დრო აღარა გვაქვს, რადგანაც, ყოველგვარი ყალბი პათეტიკის გარეშე ვამბობ – ქვეყანა, სამშობლოა გადასარჩენი!

**ზემოთ ნახსენებ რეალურ ოპოზიციაში ლეიბორისტები, ეროვნული ფორუმი და ნინო ბურჯანაძის პარტია ვიგულისხმე. სხვები, ყველანი, ან თავფეხიანად ნაყიდი ჰყავს სააკაშვილს, ან, რაც უფრო სახიფათოა, რესპუბლიკელების მსგავსად, ოკეანეს გაღმელ ლიბერასტ-მასონებს ჰყავთ „დავერბოვკებული“. დანარჩენები იმდენად სუსტები არიან, რომ მათს მოსყიდვას არავინ ცდილობს.**

დღეს ხშირად გაიგონებთ (ამას წინათ „ახლების“ ძველმა ლიდერმა, დათო გამყრელიძემაც ბრძანა „კავკასიის“ ეთერში) – კი ბატონო, გაერთიანება კარგია, მაგრამ ეს რაღაც პრინციპების გარშემო უნდა მოხდეს და ამიტომ შეუძლებელია ეს ამბავიო.

ჯერ ერთი, ამან „კუმ ფეხი გამოყოს“ ანდაზა გაგვახსენა. ანუ ვის და სად დაეკარგნენ „ახლები“? მეორე, ალბათ გამყრელიძე „პრინციპებში“ სხვადასხვა პარტიის იდეოლოგიურ საფუძვლებს, გნებავთ, საგარეო ორიენტაციას, გნებავთ, მემარჯვენეობა-მემარცხენეობას გულისხმობდა და, ასეთ შემთხვევაში, უკაცრავად პასუხია და, ფეხებზე მკიდია ყველანაირი პრინციპები, რადგანაც შექმნილ ვითარებაში მხოლოდ ერთი პრინციპია – ქვეყნის გადარჩენის პრინციპი!

**ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები სამი პოლიტიკური ძალის გაერთიანების იდეოლოგიური საფუძველი შეიძლება ქართული, ტრადიციული ღირებულებების ერთგულება იყოს. ანუ წინადადებას ვაყენებ, რომ რაღაც ქარტიის მსგავსი მომზადდეს, რომელშიც შავით თეთრზე ჩაიწერება (თანაც იმაზე თავის მტვრევის გარეშე, რას იტყვის ამის შესახებ ევროპა ან აშშ), რომ ქვემორე ხელის მომწერნი აღიარებენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ პრიორიტეტულობას და, აქედან გამომდინარე, ყველა ქართული, ტრადიციული ფასეულობის, ღირებულების დაცვას. რომ არასოდეს დაუშვებენ საქართველოში ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებას და გეიაღლუმების ჩატარებას, რომ აღადგენენ ეროვნულობის გრაფას პასპორტებში, რომ, რომ, რომ და ა.შ....**

ქართველი კაცის სულის შემძვრელი პასაჟების მოფიქრება კიდევ შეიძლება. და ეს არის ის, რაც, უწინარესად, აინტერესებს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას. ამ ზნეობრივი კატეგორიების გარანტირებულად დამცველ ძალებს გაჰყვება საქართველო. ეს არის, ჩემი აზრით, ის მთავარი საკითხი, თუ რა იქნება ნაცების რეჟიმის შემდეგ და არა ის, თუ როგორი კონსტიტუცია, ან როგორი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელი იქნება. თუმცა არც ეს არის უმნიშვნელო, მაგრამ, ვიმეორებ, დღეს ზნეობრივი პრობლემატიკის მოგვარებაა საქართველოს გადარჩენა.

*სხვა დანარჩენი მეორე და მეათეხარისხოვანია, თუმცა აუცილებელი, რადგანაც თუ ქართველი კაცი ეროვნულ თვითშეგნებას დაკარგავს, რისკენაც მტკიცედ მივყავართ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხლისტებს, ქართველობა, როგორც ერი, მოკვდება, და თუ მის ადგილზე ქართული გვარებით, მუცელგამძღარი ნაქართველარები იქნებიან, ჩემთვის დიდი ვერაფერი შეღავათია!*

*თქვენთვის, მკითხველო?*

დავით მხეიძე.

# საქართველოს კონსტიტუციაში შეტანის თაობაზე კონსტიტუციური

განხილვა

**2.5.1. პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსი**

პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსი განსაზღვრულია კონსტიტუციის 69-ე მუხლით. ამ მუხლის ახალი რედაქციის თანახმად (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 17):

„1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.

2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

3. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში.“

როგორც ვხედავთ, პრეზიდენტი არის ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. სიტყვა **„გარანტი“,** მართალია, გვხვდება ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში, მაგრამ ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტის როლის დაკისრება დიდი ტვირთია ნებისმიერი პრეზიდენტისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითოეული ამ ვალდებულების ფარგლების, მათი შესრულების ხარისხისა თუ შესრულების შეუძლებლობის განმსაზღვრელი ზუსტი კრიტერიუმების დადგენა ყოვლად შეუძლებელია. ამან შეიძლება გამოიწვიოს, ერთი მხრივ, პრეზიდენტის დადანაშაულება კონსტიტუციის დარღვევაში ისეთი მოვლენისათვის, რომლის წინ აღდგომაც ობიექტურად შეუძლებელი იყო, ან რომლის აღკვეთის თუ მოწესრიგების კონსტიტუციური საშუალებები არ გააჩნდა, ხოლო მეორე მხრივ, უბიძგოს პრეზიდენტს, იქცეს ე.წ. „ნაგულისხმევი უფლებების“ შემოქმედად (რაც მოხდა, მაგალითად, პოლონეთსა და რუსეთში), მით უფრო, თუ იგი პირდაპირ ხალხის მიერ იქნება არჩეული.




პრეზიდენტმა უნდა განასახიეროს ქვეყნის ერთიანობა, იგი უნდა იყოს სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ობიექტური არბიტრი და არა ამ პროცესებით დაინტერესებული თუ მათი პასუხისმგებელი მოთამაშე. მისი პოლიტიკური აქტიურობა უნდა გამოვლინდეს მხოლოდ კრიზისის დროს, ისიც მხოლოდ კონსტიტუციით ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებში.

ამ თვალსაზრისით, გაუგებარია, რატომ არ აეკრძალა პრეზიდენტს პარტიული თანამდებობის დაკავება (კონსტიტუცია, მუხლი 72), თუ მას არბიტრად აცხადებენ? პარტიის ფუნქციონერისაგან, მით უფრო, პარტიის ლიდერისაგან, ძნელად წარმოსადგენია ობიექტურობა სხვა პარტიების მიმართ.

გაუმართლებლად მიგვაჩნია პრეზიდენტისთვის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობის მინიჭება საგარეო ურთიერთობებში იმ პირობებში, როდესაც საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი პარლამენტია, ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი – მთავრობა. ასეთი ნორმის არსებობამ შეიძლება არასასურველი კონკურენცია გამოიწვიოს პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, რაც მომხდარა კიდეც იმ ქვეყნებში, რომლებშიც არის მსგავსი კონსტიტუციური ნორმა. უნდა აღინიშნოს ამ ნორმისა და 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმის წინააღმდეგობრიობაც (იხ. წინამდებარე კომენტარის 2.5.4 პუნქტი).

**2.5.2. პრეზიდენტის არჩევნები**

პრეზიდენტობის კანდიდატისთვის პროექტით შემოტანილია ბინადრობის ახალი ცენზი – არჩევნების დანიშვნის დღისთვის ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრების ვალდებულება (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 18). ისმის კითხვა: რას ნიშნავს საქართველოში ცხოვრება ბოლო 3 წლის განმავლობაში – ამ დროის განმავლობაში ქვეყნიდან გაუსვლელობას, მხოლოდ მოკლე ვადით გასვლას (რა ვადით?), ყოველწლიურად ნახევარზე მეტი დროის საქართველოში გატარებას თუ რაიმე სხვას? ამ გაურკვევლობის გამო ეს მუხლი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატის წინააღმდეგ და ამის ასე დატოვება არ შეიძლება.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №171.

საზოგადოდ, ჩვენი აზრით, საარჩევნო ცენზები (შეზღუდვები) მხოლოდ კონსტიტუციით უნდა განისაზღვროს და უნდა აიკრძალოს კანონით მათი დადგენა, რათა გამოირიცხოს უშუალოდ არჩევნების წინ, მიმდინარე პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, გარკვეული პოლიტიკური ფიგურებისთვის არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა.

უნდა შევნიშნოთ, რომ უცვლელი დარჩა ნორმა, რომლის თანახმად, ერთი და იმავე პირმა მესამედაც შეიძლება იყაროს კენჭი, თუ ერთ არჩევნებს გამოტოვებს. საზოგადოდ, საზოგადოებისთვის ფრიად სახიფათოა უმაღლეს, მძლავრი იმუნიტეტით დაცულ თანამდებობაზე ერთი და იმავე პირის დიდხანს ყოფნა. გარდა ამისა, ასეთი წესი ქმნის „უწესო“ პოლიტიკური თამაშის რისკს. მაგალითად, პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს წინა პრეზიდენტსა და მის პოლიტიკურ ძალაზე აბსოლუტურად დამოკიდებული პირი, რომელიც ან გადადგება, ან რომელსაც აიძულებენ, გადადგეს თანამდებობიდან და შემდგომ პრეზიდენტად კვლავ ყოფილი პრეზიდენტი მოგვევლინება. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია პრეზიდენტად არჩევის უფლების შეზღუდვა მხოლოდ ორი ვადით. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თუ პრეზიდენტი გადადგა თანამდებობიდან, მას აღარ უნდა ჰქონდეს რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის უფლება – თუ ხალხის მხარდაჭერის შემოწმება უნდა, პლებისციტი დანიშნოს.

უცვლელი დარჩა, აგრეთვე, კონსტიტუციის იმავე 70-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ნორმა, რომლის თანახმად, 'არჩევნების მეორე ტურში ... არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს“. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ტურში არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს მიღებული ხმების რაოდენობას, თუნდაც ერთმა კანდიდატმა მიიღოს მხოლოდ 2 ხმა, მეორემ კი – 1. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი კანდიდატი მოხსნის თავის კანდიდატურას, პრეზიდენტად ასარჩევად მეორე კანდიდატს ერთი ხმაც ეყოფა. მიგვაჩნია, რომ ეს ნორმა აუცილებლად უნდა შეიცვალოს და მეორე ტურის გამართვისთვის მეორე კანდიდატის არსებობის აუცილებლობა, ხოლო არჩეულად გამოცხადებისთვის მეორე ტურის მონაწილეთა უმრავლესობის ხმების მიღება უნდა დადგინდეს. ასევე შესაცვლელია მე-9 პუნქტი – ამ პუნქტის მიხედვით, რიგგარეშე არჩევნებით არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა, ნაცვლად 5 წლისა, შეიძლება 5 წელი და 10 თვე აღმოჩნდეს (!).

აუცილებლად მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტი ქმნის მთავრობას, რომელსაც ეკუთვნის უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება, პოლიტიკური სისტემის მდგრადობისათვის ფრიად სახიფათოა უშუალოდ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის არსებობა. ასეთი წესით არჩეულ პრეზიდენტს, მისი ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხის გამო, შეიძლება გაუჩნდეს ისეთი ქმედების ცდუნება, რომელიც სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს.

**2.5.3. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა**

დღემდე განსაზღვრული არ არის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები (გარდა იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევისა), მაგალითად, ხანგრძლივი ავადმყოფობა ან ფსიქიკური დაავადება, და არც პროექტი ითვალისწინებს ამას. განსაზღვრული არ არის, აგრეთვე, ვინ ან როგორ ადგენს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების დროებით განხორციელების შეუძლებლობას. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს საკითხები არც პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისთვისაა განსაზღვრული. ამ განუსაზღვრელობამ კი შესაძლოა მძიმე კრიზისი გამოიწვიოს.

**2.5.4. პრეზიდენტის უფლებამოსილება**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენილი პროექტით მნიშვნელოვნად იზღუდება პრეზიდენტის უფლებამოსილება (პროექტი, მუხლი 1, პუნქტები: 19 და 20), რაც უდავოდ მისასალმებელია. მაგრამ არის რიგი საკითხებისა, რომლებიც საფუძვლიან კითხვებს ბადებს. სახელდობრ:

● „(პრეზიდენტი) მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს“ (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 19ა) – ნათლად არ ჩანს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით დებს თუ არა? თუ არა, ეს ნორმა, სისტემური თვალსაზრისით, წინააღმდეგობაში იქნება მთავრობის კონსტიტუციურ სტატუსთან („მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას“), ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით, ამან შესაძლოა პრობლემები შეუქმნას მთავრობის მიერ თანამიმდევრული პოლიტიკის გატარებას და გამოიწვიოს პოლიტიკური კრიზისი. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად საკმარისია, დაისვას ორი წერტილი სიტყვების – „მთავრობასთან შეთანხმებით“ – შემდეგ. გარდა ამისა, გაუგებარია, გამორჩენილია თუ შეგნებულადაა ამოღებული საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკების უფლება?

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ნორმა წინააღმდეგობაშია პრეზიდენტის, როგორც საგარეო ურთიერთობებში საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლის, სტატუსთან – **უმაღლესი** წარმომადგენლობა „ვერ იტანს“ სხვა ინსტიტუტის მხრიდან თავისუფლების შეზღუდვას;

● მიგვაჩნია, რომ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსისა და სხვა მხედართმთავრების დანიშვნისა თუ თანამდებობიდან გადაყენებისას სავალდებულო უნდა იყოს პრემიერ-მინისტრის, ან ეროვნული უშიშროების საბჭოს თანხმობა;

● კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „(პრეზიდენტი) კანონით დადგენილი წესით ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრებს“. წარმოდგენილი ფორმულირებით ხომ შესაძლებელია, რომ პრეზიდენტს **ერთპიროვნულად, მხოლოდ საკუთარი მიხედულებით,** მიეცეს იუსტიციის საბჭოს წევრების დანიშვნის უფლება? ეს კი ყოვლად გაუმართლებელია. გაუგებარია, რა იგულისხმება პარლამენტისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრების წარდგენაში: გასაცნობად, ასარჩევად თუ დანიშვნაზე თანხმობის მისაღებად წარდგენა? საერთოდ, საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირება ჩვენში იმდენად მტკივნეული საკითხია, რომ მისი შექმნის წესი, ჩვენი აზრით, ფართო პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე კონსტიტუციით ზუსტად უნდა განისაზღვროს;

● მისასალმებელია პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების ძალაში შესვლისთვის პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციის აუცილებლობის შემოღება (უმჯობესი იქნება „კონტრასიგნაციის“ ცნების აღსანიშნავად ქართული ტერმინი „თანახელმოწერა“ გამოვიყენოთ). მაგრამ ამ წესიდან ზოგიერთი გამონაკლისი სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია. კონკრეტულად:

– პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერა რატომ არ უნდა იყოს სავალდებულო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და გაუქმებისთვის? სრული ინფორმაცია ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესახებ ხომ მხოლოდ მთავრობას აქვს? უფრო მეტიც: მიგვაჩნია, რომ არა მხოლოდ თანახელმოწერა უნდა იყოს სავალდებულო, არამედ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება და გაუქმება მხოლოდ მთავრობის წინადადებით უნდა ხდებოდეს. რადგან ასეთი მდგომარეობა დიდი საფრთხის შემცველია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, მისი შემოღება პრეზიდენტსა და მთავრობას შორის აზრთა შეჯერებით უნდა ხდებოდეს, ცხადია, პარლამენტის მიერ შემდგომი დამტკიცებით ან უარყოფით. მხოლოდ ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს კონსტიტუციურ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას ქვეყნისთვის უაღრესად მგრძნობიარე საკითხების გადაწყვეტისას და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას;

– საომარი მდგომარეობის დროს, სხვა აქტებთან ერთად, პრეზიდენტს აქვს კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის უფლება (იხ. ორგანული კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“). დეკრეტით შესაძლებელია შეიზღუდოს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება რატომ უნდა ხდებოდეს ერთპიროვნულად, თუნდაც პრეზიდენტის მიერ? მით უფრო, რომ სრული ინფორმაცია კრიზისული მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობისა და მეთოდების შესახებ მხოლოდ მთავრობას აქვს;

– როდესაც ნახსენებია „პრეზიდენტის ბრძანება და ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება ... პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და პრეზიდენტისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების საქმიანობას“, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რომელია პრეზიდენტისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებები და, საზოგადოდ, უნდა არსებობდეს თუ არა ასეთი დაწესებულებები ამ პროექტით განსაზღვრული სტატუსის მქონე პრეზიდენტისთვის?

კონსტიტუციის ამავე თავის 74-ე მუხლში შეტანილი ცვლილება, მართალია, მთავრობას უკავშირდება, მაგრამ ამ მუხლის ადგილის გამო მის კომენტარს აქვე შემოგთავაზებთ. ცვლილების თანახმად, მთავრობას ეძლევა უფლება, მოითხოვოს რეფერენდუმის დანიშვნა. მიგვაჩნია, რომ ეს უფლება გაუმართლებლად გააძლიერებს მთავრობის ისედაც ფართო უფლებებს და შესაძლებლობას მისცემს მას, პარლამენტის გვერდის ავლით ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაზე.

პრეზიდენტის იმ უფლებამოსილებებზე, რომლებიც პარლამენტსა და მთავრობას უკავშირდება, ქვემოთ გვექნება საუბარი.

**2.6. მთავრობა** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტები 24 – 29)

კონსტიტუციის ეს ნაწილიც მნიშვნელოვნად იცვლება, პირველ ყოვლისა, მთავრობის უფლებამოსილების გაზრდის თვალსაზრისით. მნიშვნელოვნად იცვლება, აგრეთვე, პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთობა. თუმცა წონასწორობა ამ კონსტიტუციურ ინსტიტუტებს შორის ნაკლებად, მაგრამ მაინც დარღვეული რჩება. დომინანტურ მდგომარეობას ამჯერად, პრეზიდენტის ნაცვლად, მთავრობა დაიკავებს.

**2.6.1. მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი**

მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი და პრემიერ-მინისტრის უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია კონსტიტუციის 78-ე და 79-ე მუხლებით. ამ მუხლების ახალი რედაქციის თანახმად (უცვლელი დარჩა 78-ე მუხლის $2^1$, მე-6 და მე-7 პუნქტები და 79-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები):

**„მუხლი 78**

1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

2. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი ან სახელმწიფო მინისტრები. პრე-

# ცვლილებებისა და დამატებების კანონის პროექტის (2010 წ.) კომენტარი

მიერ-მინისტრი უფლებამოსილია მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე წევრს – ვიცე-პრემიერის მოვალეობათა შესრულება.

...

3. მთავრობა კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა და მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომაზე ამ საკითხთა განხილვაში, რომელსაც ასევე ესწრებიან ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და სხვა წევრები.

5. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და კანონით. აღნიშნულ კანონპროექტს პარლამენტს წარუდგენს მთავრობა.

...

**მუხლი 79**

1. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი.

2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კოორდინაციას და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე.

3. პრემიერ-მინისტრი პარლამენტის მოთხოვნით წარუდგენს მას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს.

4. პრემიერ-მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას, აგრეთვე, ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში.

5. პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის სხვა წევრებს, უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის წევრები.

6. პრემიერ-მინისტრი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს.

7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის წევრს.

78-ე მუხლის პირველი პუნქტის ახალი რედაქციით მთავრობა განთავისუფლდა პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებლობისაგან, რაც სავსებით მართებულია. მაგრამ ამასთან ერთად საერთოდ „დაიკარგა“ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი, არადა, ხელისუფლების ორგანოს არ შეიძლება ჰქონდეს უფლება პასუხისმგებლობის გარეშე. მართალია, კონსტიტუციაში არის ნორმები, რომლებიც მეტყველებს პასუხისმგებლობის არსებობაზე პარლამენტის წინაშე (მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებისა და იმპიჩმენტის წესით მთავრობის წევრის თანამდებობიდან გადაყენების შესაძლებლობა), მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია პირველ პუნქტში ამის ცხადად ჩაწერა მისი მეორე წინადადების შემდეგნაირად ჩამოყალიბებით: „მთავრობა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე“.

კვლავ დატოვებულია რამდენიმე სახელმწიფო მინისტრის არსებობის შესაძლებლობა, რაც იწვევს აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების ზედმეტად დაქსაქსვას, სახელმწიფო ბიუროკრატიისა და მისი შენახვის ხარჯების ზრდას. სავსებით გასაგებია ერთი ვიცე-პრემიერის თანამდებობის არსებობა, უფრო მეტიც, ეს აუცილებლად მიგვაჩნია. მაგრამ გაუგებარია, რას ემსახურება რამდენიმე მინისტრის ვიცე-პრემიერად დანიშვნის უფლება, გარდა პიროვნული ამბიციების დაკმაყოფილებისა?

ფრიად სახიფათოდ მიგვაჩნია პრეზიდენტისთვის უფლების მიცემა, „მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა და მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომაზე ამ საკითხთა განხილვაში“. ეს ნორმა არ ავალდებულებს მთავრობას, განიხილოს პრეზიდენტის მიერ დასმული საკითხი და, შესაბამისად, მას შეუძლია მისი მოთხოვნის უგულებელყოფა, რაც უარყოფითად იმოქმედებს ან პრეზიდენტის, ანდა მთავრობის ავტორიტეტზე. მეორე მხრივ, პრეზიდენტის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მას შესაძლებლობა ეძლევა სისტემატურად ჩაერიოს მთავრობის საქმიანობაში, უარეს შემთხვევაში კი – ხელი შეუშალოს მის საქმიანობას. ასეთი უფლების არსებობა არღვევს მთავრობის, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი განშტოების, ფუნქციური დამოუკიდებლობის პრინციპს.

არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ მთავრობა არის კოლეგიური ორგანო და განსაზღვრული არ არის მის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი. ამის გარეშე კი მთავრობა შეიძლება ფაქტობრივად იქცეს პრემიერ-მინისტრის დანამატად, მის აპარატად, მით უფრო მაშინ, როდესაც პრემიერ-მინისტრი გამოცხადებულია მთავრობის მეთაურად.

79-ე მუხლის პირველი პუნქტის ახალი რედაქციით პრემიერ-მინისტრი გამოცხადებულია მთავრობის მეთაურად. ჩვეულებრივ, მთავრობის პირველ პირს მთავრობის თავმჯდომარეს ან პირველ მინისტრს (პრემიერ-მინისტრს) უწოდებენ და ამით ხაზს უსვამენ იმას, რომ იგი არის არა მინისტრების უფროსი, არამედ პირველი თანასწორთა შორის. ამიტომ გაუმართლებლად მიგვაჩნია პრემიერ-მინისტრის მთავრობის მეთაურად გამოცხადება, რაც უფროსობასთან და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებისუნარიანობასთან ასოცირდება.

79-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქციით პრემიერ-მინისტრი განთავისუფლდა ვალდებულებისაგან, მოახსენოს პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ და მის წინაშე პასუხისმგებლობისაგან მთავრობის საქმიანობისათვის, რაც სავსებით მართებულია. მაგრამ, 78-ე მუხლის მსგავსად, აქაც საერთოდ „დაიკარგა“ მისი პასუხისმგებლობის საკითხი მთავრობის საქმიანობისათვის. არადა, პრემიერ-მინისტრის ფართო უფლებები მთავრობის წევრების მიმართ გაწონასწორებული უნდა იყოს პირადი პასუხისმგებლობის ვალდებულებით პარლამენტის წინაშე.

**2.6.2. მთავრობის შექმნა**

მთავრობის შექმნა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხია. მთავრობის შექმნის უფლებამოსილება მთლიანად პარლამენტის ხელში გადადის (რაც სავსებით სწორად მიგვაჩნია). მაგრამ, კონსტიტუციის მე-80 მუხლის ახალი რედაქციით განსაზღვრული მთავრობის შექმნის პროცედურის არაოპტიმალურობის გამო, მისი შექმნა შეიძლება 76 დღე გაგრძელდეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა ამ ვადაში ვერ შექმნა მთავრობა (რასაც პარლამენტის დათხოვნა მოჰყვება), ამ ვადას დაემატება დაახლოებით 90 დღე საპარლამენტო არჩევნების გასამართავად და შესაძლოა დაემატოს კვლავ 76 დღე მთავრობის შესაქმნელად. ამრიგად, მთელი ამ დროის განმავლობაში ქვეყანა შეიძლება სტაბილური მთავრობის გარეშე დარჩეს – ამ დროს ძველი მთავრობა ასრულებს მთავრობის მოვალეობას; მას არა აქვს პარლამენტის მხარდაჭერა, მან იცის, რომ მხოლოდ დროებითაა დატოვებული და ამის გამო მისი მოქმედება ვერ იქნება ეფექტიანი. ამიტომ სრულიად აუცილებელია მთავრობის სწრაფად შექმნა, რაც სავსებით შესაძლებელია არაფრისმომცემი მე-5 პუნქტის ამოღებით (ამით ეს ვადა 30 დღით შემცირდება) და ზოგიერთი სხვა პროცედურის შეცვლით (მაგალითად, მე-2 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრად უნდა წარადგინოს ის, ვინც სურს არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტს. მაგრამ ამ სუბიექტს შესაძლოა არ ჰქონდეს მანდატების უმრავლესობა და ვერც უმრავლესობას ქმნიდეს, ანდა ის შეიძლება იყოს მხოლოდ საარჩევნოდ შექმნილი ბლოკი, რომლის შემადგენელ პარტიებს შორის ურთიერთობა პარლამენტში ველარ გაგრძელდება. შესაბამისად, პირველ შემთხვევაში მისთვის სასურველი კანდიდატი განწირულია „ჩავარდნისთვის“, ხოლო მეორე შემთხვევაში ასეთი კანდიდატი, უბრალოდ, არ იარსებებს. ამას თავიდან ავიცილებთ და დროსაც მოვიგებთ, თუ პრეზიდენტი ვალდებული იქნება წარადგინოს ის კანდიდატურა, რომელსაც გარანტირებული ექნება უმრავლესობის მხარდაჭერა. ამ უმრავლესობაში სავსებით შესაძლებელია, არც კი იყოს ყველაზე მეტი მანდატის მქონე სუბიექტი (მაგალითად, გავიხსენოთ ბრიტანეთის 2010 წლის არჩევნების შედეგი).

იგივე უნდა ითქვას ახალი $80^1$ მუხლის პირველი პუნქტის თაობაზე.

**2.6.3. მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება**

პარლამენტის მიერ მთავრობის საქმიანობის კონტროლის განხორციელების შედეგი შეიძლება იყოს მთავრობისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრება უნდობლობის გამოცხადების მეშვეობით. აუცილებლობის შემთხვევაში ეს არის მთავრობის ძალაუფლების შეკავების (გაწონასწორების) ყველაზე მძლავრი საშუალება. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ეფექტიანობის ხარისხი. ჩვეულებრივ, უნდობლობის გამოცხადება ხდება იმავე უმრავლესობით, როგორც ნდობის გამოცხადება (პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით), იშვიათად კი უნდობლობის გამოცხადების კვორუმი ოდნავ მაღალია (პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმის შემდეგ გადაწყვეტილება რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნეს მიღებული, რათა მთავრობისთვის სწრაფად დასრულდეს გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, რომლის გაჭიანურებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეაფერხოს მისი საქმიანობა.

ვნახოთ, როგორაა გადაწყვეტილი ეს საკითხი წარმოდგენილი პროექტის მიხედვით (კონსტიტუციის 81-ე მუხლის ახალი რედაქცია).

პირველ ყოვლისა ის უნდა აღვნიშნოთ, რომ უნდობლობის გამოცხადების პროცესის შესაძლო ხანგრძლივობა უზომოდ აღემატება ყოველგვარ გონივრულ ვადას – პროცესი შესაძლოა 131 დღემდე „გაიჭიმოს“ (!). ხოლო, თუ პროცესი უშედეგოდ დასრულდა, ამას მოჰყვება პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები (3 თვე) და ახალი მთავრობის შექმნა (შესაძლო 76 დღე). ამრიგად, უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმას შესაძლოა მოჰყვეს 297-დღიანი (!) პოლიტიკური კრიზისი, რაც ქვეყანას შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს.

მეორე, რაც აგრეთვე პრინციპულად მიუღებელია, არის პრეზიდენტის უფლება, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად არ წარადგინოს ის პირი, ვისაც მხარი დაუჭირა პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ და აიძულოს ეს უმრავლესობა, ეძებოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედის (!) მხარდაჭერა, რაც, დიდი ალბათობით, შეუძლებელი იქნება. შედეგად კი დარჩება მთავრობა, რომელსაც აღარ ექნება პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერა, რაც იქცევა გამუდმებული პოლიტიკური კრიზისების შექმნისა და დესტაბილიზაციის გამომწვევ ფაქტორად.

ამრიგად, სრულიად აუცილებლად მიგვაჩნია წარმოდგენილი პროცედურის არსებითად შეცვლა. თუ გამოვიყენებთ ევროპის სახელმწიფოებში, მაგალითად, გერმანიაში, არსებულ პროცედურას (ე.წ. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის პროცედურას), უნდობლობის გამოცხადების პროცესი 7 დღეში (!) დასრულდება ან ახალი მთავრობის შექმნით, ან უნდობლობის გამოუცხადებლობით.

## განხილვა

**2.6.4. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმა**

ასეთ მოდელებში, როგორც წესი, მთავრობასაც აქვს პარლამენტზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ბერკეტი. ეს არის პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტის წინაშე მთავრობისადმი ნდობის საკითხის დასმის უფლება მას შემდეგ, რაც პარლამენტი მხარს არ დაუჭერს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს ან სამთავრობო პროგრამას, თუ ეს საკითხი მთავრობას პრინციპულად მიაჩნია. ასეთი მოქმედების შედეგი შემდეგია: თუ პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას, შესაბამისი კანონპროექტი თუ პროგრამა მიღებულად ჩაითვლება, ხოლო თუ ნდობა არ გამოუცხადა, მთავრობა უნდა გადადგეს, მაგრამ მას შეუძლია პარლამენტიც „თან გაიყოლოს“ – პრემიერ-მინისტრს შეუძლია პრეზიდენტს მოსთხოვოს პარლამენტის დათხოვნა, რომელიც უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი, თუ მოთხოვნიდან გარკვეულ ვადაში (ვთქვათ, 10 – 15 დღეში) პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ვერ აირჩევს ახალ პრემიერ-მინისტრს. ასეთი წესი უზრუნველყოფს როგორც მთავრობის სტაბილურობას, ასევე მის მიერ პარლამენტის „შანტაჟირების“ შეუძლებლობას, როდესაც პარლამენტში არის მდგრადი უმრავლესობა.

ვნახოთ, რა ხდება ჩვენთან. ეს საკითხი კონსტიტუციის $81^1$ მუხლის ახალი რედაქციითაა გადაწყვეტილი. პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტის წინაშე მთავრობისადმი ნდობის საკითხის დასმიდან 14 დღის ვადაში პარლამენტმა კენჭი უნდა უყაროს უარყოფილ კანონპროექტს. კანონპროექტის მიღება მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების ტოლფასია, ხოლო მისი უარყოფა ნიშნავს მთავრობის მიმართ უნდობლობის საკითხის აღძვრას და ამის შემდეგ იწყება ის მრავალთვიანი პროცესი, მისი თანმდევი რისკებით, რომელიც 2.6.3 პუნქტში აღვწერეთ.

**2.6.5. გუბერნატორი**

წარმოდგენილი პროექტით იცვლება კონსტიტუციის $81^3$მუხლი, რომელიც გუბერნატორის ინსტიტუტს ეძღვნება. ამ მუხლის ახალი რედაქციის თანახმად:

„1. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი.

2. სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებამოსილებანი განისაზღვრება კანონით.

3. სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.“

არსებულთან შედარებით შეიცვალა ის, რომ გუბერნატორი იქნება მთავრობის (და არა პრეზიდენტისა და მთავრობის) წარმომადგენელი. განისაზღვრა, რომ გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი (დღეს ამ საკითხის გადაწყვეტა კანონზეა მინდობილი). და მესამე: თუ ამჟამად ის მაინც არის განსაზღვრული, რომ „გუბერნატორი კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე და ახორციელებს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“, რითაც გარკვეულწილად გამოკვეთილია გუბერნატორის ძირითადი ფუნქცია (ზედამხედველობა), ახალი ნორმით სრულიად შეუზღუდავია მისი უფლებამოსილების ფარგლები, რაც კანონმდებელს შესაძლებლობას აძლევს, ნულიდან უსასრულობამდე განავრცოს გუბერნატორის უფლებები.

ასეთი განუსაზღვრელობა უაღრესად სახიფათოა ხელისუფლების გონივრული დეცენტრალიზაციისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრებისა და განვითარებისთვის.

**ვახტანგ ხმალაძე,**
**ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი;**

**ზურაბ ჯიბღაშვილი,**
**კონსტიტუციური სამართლის დოქტორანტი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიების წევრი.**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს სარჩელმა შეიძლება რუსეთის რეპუტაცია შელახოს

**ჰააგაში დაიწყო საქართველოს სარჩელის მოსმენა რუსეთის წინააღმდეგ, რამაც თავიდანვე გათიშა გაეროს საერთაშორისო სასამართლო. მანამ, სანამ გადავიდოდეს საქმის არსზე, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს იქნება თუ არა მასში საუბარი რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დაზღვევაზე, რასაც რუსეთი სადავოდ აყენებს. იმის შესახებ, თუ რატომ გადაწყვიტა საქართველომ ბრალი დაედო რუსეთისთვის სწორედ საქართველოს მოსახლეობის დისკრიმინაციაში და არა სამხედრო ინტერვენციაში, გვიამბობს სენტ-ჯონის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევათა დეკანის მოადგილე, სამართლის პროფესორი, ბლოგ „ოპინიო ჯურის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კრისტოფერ ბორგენი**



*– რა არის ამ პროცესის თავისებურება?*

– იმის გარდა, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთი და საქართველო არიან გაეროს საერთაშორისო სასამართლოს პროცესის მონაწილეები, ეს უკანასკნელი თვეების მანძილზე არის მეორე შემთხვევა, როდესაც სეცესიის და სამხედრო ინტერვენციის საკითხები გადახლართულია ერთმანეთთან საქმის იურიდიული ასპექტებით. საკითხი შეეხება ერთდროულად ბრალდებას რასობრივ და ეთნიკურ დისკრიმინაციაში. პირველი შემთხვევა, რასაკვირველია, იყო კოსოვოს პროცესი. ვინაიდან რუსეთი გამოდიოდა კოსოვოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, საინტერესო იქნება შევხედოთ – მოახდენს თუ არა კოსოვოს საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მომავალ მოსმენებზე, რომლებიც დაკავშირებულია სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან, ვისი დამოუკიდებლობაც აღიარა რუსეთმა.

მეორე საინტერესო მომენტი არის ის, რომ შეიძლება თუ არა გამოყენებული იქნეს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენცია იმ შემთხვევისთვის, როგორთანაც ამჟამად გვაქვს საქმე. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საქართველო ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ის დროებითი პერიოდი, რაზეც არის საუბარი, – არ შეეხება მხოლოდ 2008 წლის სამხედრო ინტერვენციის პერიოდს. საქართველო რუსეთის ფედერაციას ბრალს სდებს ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციაში 1990 წლიდან.

*– საქართველომ სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ შეიტანა 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის დროს, მაგრამ მას ბრალი დასდო არა გაეროს წესდების დარღვევასა და სამხედრო ინტერვენციაში, არამედ, ყველასათვის გასაოცრად, დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დარღვევაში. რასთან არის ეს დაკავშირებული? ეტყობა, თბილისში იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან ცნობილი გახდებოდა: სამხედრო კონფლიქტი გააჩაღა არა რუსეთმა, რაც შემდგომში დაადასტურა კიდეც ტალიავინის კომისიის დასკვნებმა, და გადაწყვიტეს რისკი არ გაეწიათ?*

– მართალია მე არ ვიცი, თუ რითი ხელმძღვანელობდნენ საქართველოს იურისტები კერძოდ, მაგრამ მიმაჩნია, რომ მათ გადაწყვიტეს ბრალი დასდონ რუსეთს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დარღვევაში იმიტომ, რომ ეს საშუალებას მისცემდა მას დაეწყო პროცესი რუსეთის წინააღმდეგ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ფარგლებში. საქმე ის არის, რომ რუსეთმა აღიარა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია იმ საკითხებში, რომლებიც შეეხება რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დებულებათა ინტერპრეტაციებს. შესაბამისად, თუ საქართველო შეძლებს დაარწმუნოს გაეროს საერთაშორისო სასამართლო, რომ ეს საქმე მართლაც არის დაკავშირებული ამ კონვენციის დარღვევასთან, მაშინ ეს საქმე მოხვდება გაეროს საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ.

საქართველოს რომ შეეტანა სარჩელი რუსეთის ბრალდებასთან დაკავშირებით სამხედრო ინტერვენციაში, მაშინ, როგორც თქვენ სწორად შენიშნეთ, საქმე შეეხებოდა გაეროს წესდების დარღვევას.

იმას, რაც შეეხება ტალიავინის კომისიის დასკვნას, არ ვფიქრობ, რომ მან შეასრულა თავისი როლი, ვინაიდან, ჯერ ერთი, სარჩელი შეტანილი იქნა მანამდე ერთი წლით ადრე, მეორეც, ბევრ ბრალდებაში საუბარია ზარალზე, რაც მიადგა რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის სამხედრო კონფლიქტამდე წლებში საქართველოს.

*– რუსეთმა წამოაყენა უარყოფანი გაეროს საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენციასთან დაკავშირებით. ეთანხმებით თქვენ ამ უარყოფებს?*

– საქმეები, რომლებიც შეეხება რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დარღვევას, ერთმნიშვნელოვნად შედის გაეროს საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენციაში, და ამას აღიარებს რუსეთიც, პრობლემა ისაა, არის თუ არა კონკრეტულად ეს საქმე კონვენციის დარღვევა. რუსეთი აცხადებს, რომ ეს სარჩელი დაკავშირებულია სამხედრო კონფლიქტთან, მაშასამდე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციას ამასთან არავითარი ურთიერთობა არ გააჩნია.

*– როგორ მიგაჩნიათ, შეძლებს თუ არა გაეროს საერთაშორისო სასამართლო მიიღოს გადაწყვეტილება საქმის არსთან დაკავშირებით?*

– დროებითი ზომები შემოღებული იქნა კენჭისყრის შედეგად, რომელზეც „დიახს“ თხუთმეტიდან რვამ მისცა ხმა, ესე იგი უპირატესობა მცირე იყო. არ ვიცი, თუ რამდენად ასახავს ეს სასამართლოს მზადყოფნას, გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსთან დაკავშირებით, მაგრამ დროებითი ზომების ენა მეტყველებდა იმის შესახებ, რომ სასამართლო თანახმაა: რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენცია შეიძლება გამოყენებული იქნეს გადაწყვეტილების გამოტანისთვის რუსეთის ქცევასთან დაკავშირებით.

*– რას უნდა ველოდოთ რუსეთისგან, თუ საქართველო მოიგებს ამ პროცესს?*

– ამის შესახებ ჯერ კიდევ ნაადრევია საუბარი, ვინაიდან პროცესი იმყოფება იმის განსაზღვრის სტადიაში, შეიძლება თუ არა განხილული იქნეს ეს სარჩელი საერთოდ გაეროს საერთაშორისო სასამართლოზე აღნიშნულ კონვენციასთან დაკავშირებით. თუ გადაწყვეტილება მიღებული იქნა საქართველოს სასარგებლოდ, მაშინ სასჯელი რუსეთისთვის დაეფუძნება იმას, რომ საქართველომ მოითხოვა კომპენსაცია სარჩელის მეხუთე ნაწილში.

თუ რუსეთი უარს იტყვის სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებაზე, მაშინ ის აღმოჩნდება რთულ დიპლომატიურ სიტუაციაში: გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი უარს აცხადებს შეასრულოს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება. ამან შეიძლება მიაყენოს სერიოზული ზიანი მის რეპუტაციას. ამას გარდა, გაეროს წესდების 94-ე მუხლის თანახმად, საქართველოს აქვს ტექნიკური უფლება მოითხოვოს რუსეთის იძულება გადაწყვეტილების შესრულებისთვის უშიშროების საბჭოს მეშვეობით. თუმცა, რასაკვირველია, რუსეთი კენჭისყრაზე მას ვეტოს დაადებს, იძულება არ იქნება, მაგრამ ეს უფრო დიდი დარტყმა იქნება რუსეთის რეპუტაციისთვის.

**იულია ნეტიოსოვა**

информационное агентство РОСБАЛТ

# უსაფრთხოების გალიში ბრიუსელისთვის

**14 სექტემბერს ბაქოში დაიწყო აზერბაიჯანის, საქართველოს და რუმინეთის პრეზიდენტების შეხვედრა, რომელიც ეძღვნება გაზის მიწოდების პროექტის მხარდაჭერას მარშრუტით აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი. როგორც აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის სამინისტრო გვატყობინებს, სამიტზე გათვალისწინებულია 3 სახელმწიფოს პრეზიდენტების მიერ ბაქოს დეკლარაციის ხელმოწერა. პროექტის მომზადებაზე ინტენსიურად მუშაობდნენ სამი ქვეყნის ექსპერტები**



საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის ამჟამინდელი ვიზიტი აზერბაიჯანში ოფიციალურია: ის ბაქოში ჩავიდა წინა დღით და გამართა მოლაპარაკება თავის აზერბაიჯანელ კოლეგასთან ილხამ ალიევთან. მოლაპარაკების თემა იყო 2 ქვეყანას შორის ურთიერთობათა განვითარება, თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში, აგრეთვე ორი ქვეყნის ლიდერების პოზიციის შემოწმება გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიის წინა პერიოდში.

რაც შეეხება რუმინეთის მეთაურის ტრაიან ბასესკუს ვიზიტს, ის 14 სექტემბერს ჩავიდა ბაქოში.

ელოდებიან აგრეთვე, რომ სამი ქვეყნის პრეზიდენტების სამიტში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის კომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუ და ევროკომისარი ენერგეტიკის საკითხებში გიუნტერ ოტინგერი.

შეგახსენებთ, რომ მემორანდუმი, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროექტის რეალიზაციასთან, ხელმოწერილი იქნა 2010 წლის 13 აპრილს ბუქარესტში.

ამ დოკუმენტის თანახმად, აზერბაიჯანი რუმინეთისთვის თხევადი გაზის მიწოდებას დაიწყებს საქართველოს ტერიტორიის გავლით. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია აიგოს ბუნებრივი გაზის გათხევადების ქარხანა, აგრეთვე ტერმინალი საქართველოსა და რუმინეთის ნავსადგურ კონსტანცაში შავ ზღვაზე. პროექტის საერთო ღირებულება შეფასებულია 2-4 მილიარდ ევროდ. შეთანხმების რეალიზაციის პერიოდში რუმინეთმა უნდა მიიღოს 7 მილიარდი კუბური მეტრი გაზი. მომავალში შეიძლება მიწოდება გაიზარდოს 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე.

როგორც ჩვენი გაზეთი უკვე წერდა, შესაბამისი მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ რუმინეთის ეკონომიკის მინისტრმა ადრიან ვიდეანუმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეს პროექტი შეიძლება რეალიზებული იქნეს უფრო სწრაფად, ვიდრე გაზსადენ ნაბუკოს პროექტი. ალბათ ეს ასეც იქნება, ვინაიდან ნაბუკო მართალია კი ითვლება პრიორიტეტულად ევროპისთვის, მიუხედავად ამისა მისი რეალიზაციის გზაზე მუდმად წარმოიქმნება ხოლმე სხვადასხვა დაბრკოლებები. ბაქოს დეკლარაციის ხელმოწერით კი ფაქტობრივად დაიწყება მუშაობა პროექტზე აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი. ამ მარშრუტისადმი შეიძლება თავისი დაინტერესება გამოხატოს თურქმენეთმაც, რომელსაც განზრახული აქვს თხევადი გაზი, კასპიის ზღვით, მიაწოდოს აზერბაიჯანს ევროპაში ტრანზიტისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუქარესტის მემორანდუმი, აგრეთვე ბაქოს დეკლარაცია არ არის ერთადერთი პროექტი, რომლის შესახებაც მიმდინარეობს განხილვები. ამჟამინდელ დღის წესრიგში შეტანილია აგრეთვე პროექტები „თეთრი ნაკადი“ და ნაბუკო.

როგორც უკვე იტყობინებოდნენ, „თეთრი ნაკადი“ ორი წლის წინათ ევროკავშირს უკრაინამ შესთავაზა. ამ პროექტის რეალიზაციის მიზნით უკვე შეიქმნა საერთაშორისო კონსორციუმი „საქართველო-უკრაინა-ევროკავშირი“ „პროექტის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს ენერგოშემცველების დივერსიფიკაციას უკრაინასა და ევროკავშირში, აზერბაიჯანის, თურქმენეთის და ყაზახეთის გაზი უნდა შემოვიდეს კასპიის რეგიონიდან ევროპაში მარშრუტით: აზერბაიჯანის გავლით საქართველოს ნავსადგურ სუფსაში. შემდეგ კი შავი ზღვის ფსკერით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

„თეთრმა ნაკადმა“ ცხოველი დისკუსია გამოიწვია ევროპაში, რომლის მოთხოვნილებაც ბუნებრივ გაზზე, ექსპერტების პროგნოზით, 20 წლის შემდეგ გაიზრდება დაახლოებით 250 მილიარდ კუბურ მეტრამდე. პროექტის ინიციატორების ჩანაფიქრით, ნავთობსადენ „თეთრი ნაკადის“ სიმძლავრემ უნდა შეადგინოს 32 მილიარდი კუბური მეტრი გაზი წელიწადში.

რაც შეეხება ნაბუკოს, ევროპისთვის ამ პრიორიტეტულ პროექტთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები.

„ყველა ეს პროექტი სჭირდება ევროპას გაზის მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაციისთვის თავიანთი ენერგეტიკული უსაფრთხოების მიზნით“, – განაცხადა აზერბაიჯანის ნავთობის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა ილხან შაბანმა.

**სოხბეტ მამედოვი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე

**სააკაშვილი იღებს სერიალს რუსეთის შესახებ**

პრეზიდენტ სააკაშვილისა და ქვეყნის მთავრობის ფონდის მხარდაჭერით დაიწყო დოკუმენტური ფილმის ციკლის გადაღება სსრ კავშირის პოლიტიკის შესახებ გასულ საუკუნეში ფინეთთან, ბალტიიისპირეთთან, პოლონეთთან, უნგრეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, ავღანეთთან დაკავშირებით. სერიაში გავლებული იქნება პარალელი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის პოლიტიკასთან საქართველოსთან დაკავშირებით.

* * *



**ავსტრიაში ჩეჩნებმა და თურქებმა მუშტი-კრივი და რბოლები მოაწყვეს ქუჩებში: დაზარალდა 7 კაცი**

ადგილობრივი დიასპორების დაპირისპირება დაიწყო ქალაქ ლინცის დისკოთეკაზე ქალიშვილის გამო. მეორე დღეს კონფლიქტი განახლდა. შედეგად დაზარალდა 7 მოქალაქე, ერთი ჩეჩენი დააპატიმრეს. ხულიგნების დასამშვიდებლად პოლიციის 8 რაზმი გახდა საჭირო.

* * *

**ობამამ დაწერა წიგნი ბავშვებისთვის. მას ნოემბერში გამოსცემენ**

თეთრი სახლის ხელმძღვანელი თავის ნორჩ თანამემამულეებს უამბობს 13 გამოჩენილ ამერიკელზე – პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონიდან დაწყებული ამერიკის შეერთებულ შტატებში ბეისბოლის ცნობილი მოთამაშის ჯეკი რობინსონით დამთავრებული.



წიგნის სახელწოდებაა: „გიმღერ შენ: წერილი ჩემს ქალიშვილებს“.

* * *

**აშშ-ში მცირდება დანაშაულობათა დონე, სპეციალისტებს ეს აოცებს**

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ ეკონომიკური უწესრიგობის პერიოდებში დანაშაულობანი იზრდება – არა იმდენად ზნეობათა დაცემის გამო, რამდენადაც მართლწესრიგის დაცვის ხარჯების შემცირების გამო. ამიტომ ამერიკის კრიმინოგენური საზოგადოების პრეზიდენტმა ახალ სტატისტიკურ ანგარიშს „სასიამოვნო გამოცანა“ უწოდა.



* * *

**სიცილიაში მაფიამ შადრევანთან დააყენა 3 ავიამბომბი: „დასაშინებლად“**

ქალაქ არტიმიკოს მერმა განკარგულება გასცა მოახდინონ მახლობელი სახლების მცხოვრებთა ევაკუაცია, გადაკეტონ რამდენიმე საათის განმავლობაში საავტომობილო მოძრაობა და მოედანი ალყაში მოაქციონ. სამართალდაცვის ორგანოების მონაცემებით, ქალაქი სიცილიის დასახლებულ პუნქტებს შორის ეს ერთ-ერთ ყველაზე მაფიოზურ უბნად ითვლება.





## თუ იცით, რომ...

■ დედამიწაზე წყლის მთელი მასიდან მხოლოდ სამი პროცენტია მტკნარი, თანაც მისი უმეტესი ნაწილი მყინვარებში მოთავსებული, აქედან სასმელად მხოლოდ ერთი პროცენტია ვარგისი;

■ სხეულის მასის 2 პროცენტის დაკარგვისას ადამიანს წყურვილი უჩნდება, 6-8 პროცენტის დაკარგვისას – გულის წასვლამდე მიდის, 10 პროცენტის დაკარგვისას მას ჰალუცინაციები და ყლაპვასთან დაკავშირებით პრობლემები უჩნდება. 12 პროცენტის დანაკლის შემთხვევაში კი ადამიანი იღუპება;

■ 400 მილიონ კაცზე მეტი ცხოვრობს რეგიონებში, რომლებიც წყლის სერიოზულ უკმარისობას განიცდიან, მილიარდ ადამიანზე მეტს ხელი არ მიუწვდება უსაფრთხო სასმელ წყალზე, 850 მილიონი კი შიმშილობს მოსარწყავი წყლის უქონლობის გამო;

■ წელიწადში დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი (უმეტესწილად ბავშვი) იღუპება სასმელი წყლის დაბინძურებით გამოწვეული დაავადებებისაგან;

■ წყლის გარეშე ადამიანს მხოლოდ 3-5 დღის გაძლება შეუძლია;

■ განვითარებად ქვეყნებში დაავადებათა 75 პროცენტი გამოწვეულია სასმელად და საკვების დასამზადებლად უვარგისი სასმელი წყლის გამოყენებით;

■ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული წყალი ლოს-ანჯელესში იყიდება, – ერთი ლიტრი 90 დოლარი ღირს. გამყიდველთა თქმით, მას ადამიანებისთვის იდეალური PH-ბალანსი და ნატიფი გემო აქვს. სითხე სვაროვსკის კრისტალებით მოვარაყებულ სპეციალურ ბოთლებში იყიდება;

■ მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი 60-70 პროცენტი წყლისგან შედგება, ბავშვისა – 80 პროცენტი. ხუთი თვის ემბრიონში კი წყლის შემცველობაა 94 პროცენტი;

■ მთელი სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ონკანის წყლიდან საშუალოდ 420 ჭიქა მარილსა და დამბინძურებელს ღებულობს;

■ მსოფლიო ოკეანეს დედამიწის 70 პროცენტი უკავია.

## „მაგ შენი თვალების ეშხი...“

**სქესთა შორის მიზიდულობა ლამის დედამიწის მიზიდულობაზე ძლიერი რომაა, ეს ძველთაძველი აქსიომაა. პოლონელმა ფსიქოლოგებმა სცადეს იმის გარკვევა, თუ რა ხიბლავთ ერთმანეთში უმეტესად ქალებსა და მამაკაცებს, რისთვისაც სათანადო გამოკითხვა ჩაატარეს.** აღმოჩნდა, რომ ქალების 71 პროცენტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თვალებს: გამოკვეთილი წარბებით შემოჯარული, ოდნავ მილულული, უფრო მუქი, ვიდრე ღია ფერის „სულის სარკე“ მათში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს; 60 პროცენტი ხელებს გამოარჩევს, ისეთებს, რომლებსაც არც ნიკოტინის სუნი ასდის, არც მანქანის ზეთია პორებში ჩამჯდარი; 49 პროცენტს ათლეტური აღნაგობის მამაკაცები ურჩევნია, ხოლო 48 პროცენტს ღიმილი ხიბლავს. კაცობრიობის მშვენიერი სქესის 39 პროცენტი უპირატესობას კარგად მოვლილ თმას ანიჭებს, თუმცა სექსოლოგთა მტკიცებით ხშირი ბალნით ბავშვები და საჭურისები გამოირჩევიან, ნორმალური მამაკაცი კი თავზე თმის ნაწილს 40 წლის ასაკიდან კარგავს.

მამაკაცებს კი ქალებში ყველაზე მეტად არა ლამაზი ფეხები მოსწონთ, როგორც ეს ბევრს ჰგონია – ეს, ასე ვთქვათ, გარეგნობის მეორე „კომპონენტია“ 69 პროცენტით, არამედ მკერდი, უფრო სწორად, არა მისი გაბარიტები, არამედ ფორმა, სინატიფე, რასაც გამოკითხულთა 75 პროცენტი აცხადებს. 57 პროცენტი დიდ ყურადღებას აქცევს იმ ადგილს, საიდანაც ადამიანს ფეხები ეზრდება, თუმცა თეძოების ზომას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ისევ ფორმაა. მამაკაცების 48 პროცენტს ასევე იზიდავს ქალების მოვლილი თმები, ხოლო ქალბატონების თვალები, პრიორიტეტთა ნუსხაში მეხუთე ადგილზეა 32 პროცენტით. გამოკითხულთა 30 პროცენტი განსაკუთრებულად გამოყოფს ბაგეებს, 27 პროცენტი – ხელებს. კიდევ 21 პროცენტს განსაკუთრებით ხიბლავს ქალის მოხდენილი ზურგი – ასეთ მამაკაცებს არ უყვართ გაფუებული ფორმები, უსიამოვნო ქონის ნაკეცები, ბეჭებში მოხრილი მანდილოსნები.



## ტკივილის ოცდაათი ფაქტორი

**განა არის ისეთი ადამიანი, ვისაც ფიზიკური ტკივილი არ უგრძვნია? ამასთან, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტკივილის ზღურბლი მრავალ თავისებურებაზეა დამოკიდებული, მათ შორის ეროვნებაზეც.**

თუ ამ თვალსაზრისით დედამიწის გეოგრაფიულ რუკას დავაკვირდებით, ჩვენდა გასაოცრად გავარკვევთ, რომ ტკივილისადმი მგრძნობიარობა იზრდება აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ჩრდილოეთიდან სამხრეთით. მაშასადამე, ყველაზე მეტად ტკივილის ამტანები იაპონელები არიან, ყველაზე ნაკლებად კი სამხრეთამერიკელები. გარდა ამისა, ბევრი რამ დამოკიდებულია ასევე კულტურაზე, ქვეყანაზე, ასაკზე, სქესზე, ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და კიდევ მთელ რიგ სხვა გარემოებაზე. მეცნიერები 30-ზე მეტ ფაქტორს ითვლიან, რომლებიც ადამიანის მიერ ტკივილის აღქმაზე მოქმედებენ.

დაკვირვებების შედეგად ირკვევა, რომ მოზარდები ტკივილს უფროსებზე უკეთ იტანენ. ტკივილს უკეთ ხანდაზმული ადამიანებიც უძლებენ. მამაკაცებზე უკეთ ტკივილის ამტანები არიან ქალები – ტკივილის მოლოდინი, დაღლილობა, უძილობა, სიცივე და სხვ. მათ უფრო ძლიერებს ხდის. თუმცა სითბო, განცდები (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი) მათზე საპირისპიროდ მოქმედებს.

ტკივილის ზღურბლის დაწევა ვარჯიშითაა შესაძლებელი. მაგალითად, მოჭიდავეები ამას გამუდმებული გდებებითა და დარტყმებით აღწევენ, შუასაუკუნოვან იაპონიაში კი მომავალ ნინძებს ტკივილის ატანას ბავშვობიდანვე აჩვევდნენ: მშობლები მათ ხშირად ურტყამდნენ, მწარედ პწკენდნენ, აქტიურად ავარჯიშებდნენ დაკუთხული ხის მასაჟორებით.

## „ამ პურის ქერქით გაგიმარჯოთ!...“

**ევროპელი ქალები, საშუალოდ, 81 წელს ცოცხლობენ, მამაკაცები – 74-ს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო დროს ამის ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, მაინც ცნობილია, რომ ორივე ეს მაჩვენებელი ჩვენში გაცილებით დაბალია. ცოტა ხნის წინათ, ჟენევის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის მეცნიერებმა სიცოცხლის გახანგრძლივების რამდენიმე ხერხს მიაგნეს.**

სცადეთ, საკუთარ ტვინს არატრივიალური ამოცანები დასახოთ, ამოხსენით კროსვორდები, ზეპირად ისწავლეთ ლექსები. დიდ ბრიტანეთში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ გონებრივი შრომის ადამიანებში სიკვდილიანობა... ოთხჯერ უფრო ნაკლებია!

ერიდეთ ოჯახურ უსიამოვნებებს, რეგულარული ურთიერთობა გქონდეთ ნათესავებთან. ჰარვარდის სამედიცინო სკოლის ექსპერტთა აზრით, სისხლით ნათესავთა ახლოს ყოფნა სისხლის წნევას არეგულირებს, ასევე... ხელს უწყობს ალკოჰოლიზმთან ბრძოლას!

ჰარვარდის ჯანმრთელობის დაცვის მკვლევართა გამოკვლევის თანახმად, შოკოლადის ზომიერად მომხმარებელნი კანფეტების ტრფიალებზე მეტს ცოცხლობენ. „წმინდა შოკოლადი“ პოლიფენოლებს – იმ ნაერთებს შეიცავს, რომლებიც ხელს უშლიან კიბოსა და გულის დაავადებებს.

ალბერტ აინშტაინის სახელობის სამედიცინო კოლეჯის მეცნიერებმა 92 ათასი კაცი გამოიკვლიეს და დაამტკიცეს, რომ ეკლესიაში კვირაში თუნდაც ერთხელ მისვლა სიცოცხლეს 20 პროცენტით ახანგრძლივებს. მანამდე კი ბრიტანელი ექიმები აცხადებდნენ, რომ მორწმუნეები სტრესებისადმი გაცილებით უფრო მდგრადნი არიან, ვიდრე ათეისტები, რადგან უფრო პოზიტიურად უმკლავდებიან ცხოვრებისეულ უსიამოვნებებს.



იქორწინეთ! იტალიელ მეცნიერთა ოცწლიანი გამოკვლევებით დადგინდა, რომ დაოჯახებული მამაკაცები ბერბიჭებზე საშუალოდ 3 წლით მეტს ცოცხლობენ.

მიირთვით პურის ქერქი – ისინი კიბოს საწინააღმდეგო ოქსიდანტ პრონიზილინს რვაჯერ მეტს შეიცავს, ვიდრე პურის გული.

დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ საზოგადოებრივ აზრს – გერმანელ მკვლევართა აზრით, თქვენ უფრო დიდ ხანს იცოცხლებთ, თუკი იმაზე არ იდარდებთ, თუ რას ფიქრობენ თქვენს შესახებ გარშემო მყოფნი.

მეტად უსმინეთ კლასიკურ მუსიკას, რადგან ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ, მაგალითად, ბეთჰოვენის მუსიკის მოსმენა სისხლის წნევას დაბლა სწევს და კუნთებს ადუნებს.

იცეკვეთ! ფრანგ მეცნიერთა აზრით, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ყველაზე მეტად სარგებლობის მომტანი ცეკვაა სალსა – იგი ამაგრებს ხერხემალს, ავითარებს ფილტვებს, ასევე ასთმას შველის.

ცნობარი

# სად გინდათ, რომ დარეკოთ?

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 36-40-11; 36-50-11; 422-422; 91-37-51; 91-37-52.
2. აეროპორტში დახვედრა-გაცილება 18-22-44; 899 33-33-53.
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 34-26-92.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი 37-69-50; 45-45-33.
5. ავტომანქანების გაქირავება 895-33-21-00.
6. ამინდის ბიურო 43-95-31; 45-95-32.
7. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 31-04-21.
8. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 99-66-04.
9. გაზი გამოძახებით 008; 92-32-46; 92-10-08.
10. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ 53-06-32.
11. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 40-52-22.
12. გაზის საავარიო (ქალაქისძ 04; 74-86-27, 74-89-04 (საავარიოძ;
38-56-16 (ცენტ. სადისპეტჩეროძ.
13. ჯანდაცვის სამინისტრო 94-34-98 (ცხელი ხაზიძ; 94-49-11.
14. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 20-62-32.
15. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 21-21-84; 21-21-94.
16. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ინტერნეტით 50-60-06.
17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 99-10-58.
18. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 25-52; 25-52-11.
19. „თელასის“ ცხელი ხაზი 77-99-99; 27-44-11.
20. შპს „იმუნიზაციის ცენტრი“ 31-22-78.
21. იუსტიციის სამინისტრო 40-52-02.
22. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება რეფერალური პროგრამით მხოლოდ სტაციონარებიდან 53-11-73; 877 45-20-01.
23. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 38-61-40 (პრესსამსახურიძ; 31-13-13 (ადმინ. დეპარტამენტიძ.
24. კონტროლის პალატა 43-81-81 (ცხელი ხაზიძ; 43-81-78 (კანცელარიაძ.

## ყველა ზარი ხელსაწაცად

25. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 93-11-11.
26. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 43-11-00.
27. მერიის ცხელი ხაზი 72-22-22.
28. მერიის ცხელი ხაზი – ცხოველებისგან დაზარალებულთა დახმარება 54-04-43.
29. მერიის სამოქალაქო მონაწილეობის და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური 37-81-44; 37-81-53.
30. ნავთლუღის ავტოსადგური 74-83-03; 74-63-23.
31. სახალხო დამცველი 99-58-98; 92-24-79; 92-31-66.
32. რკინიგზის სადგური 56-35-66; 56-47-60.
33. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 01, 011, 75-20-85; 41-17-71; 41-17-72.
34. საპატრულო პოლიცია 022.
35. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033“; 03; 54-70-04; 54-70-03.
36. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 478-478; 871 478-478.
37. საქართველოს მთავრობის კანცელარია 92-26-87 (მისაღებიძ.
38. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 28-47-47; 28-48-22; 28-48-93; 28-48-96 (ცხელი ხაზიძ.
39. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ცენტრი 077.
40. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 22-67-22; 10-30-50; 899 57-64-12.
41. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვენინსპექციის ცხელი ხაზი 37-80-50.
42. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 61-30-90; 61-30-21.
43. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა 45-20-23.
44. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 25-22-72 (ადმინისტრაციაძ; 25-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანაძ.
45. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 53-09-67.
46. ტაქსი გამოძახებით 93-91-00.
47. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უცხოეთში წამსვლელთა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება 100-229.
48. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 51-70-34; 41-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილებაძ.
49. ფინანსთა სამინისტრო 26-14-12; 26-14-10 (კანცელარიაძ; 26-24-09.
50. ფინანსთა სამინისტროს სატელეფონო ცენტრი, საგადასახადო კონსულტაციები 007.
51. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 895 24-77-77.
52. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისძ 25-01-45; 22-54-17.
53. „ყაზტრანსგაზი“ 20-04-04 (გაზიფიცირების სამსახურიძ.
54. „ყაზტრანსგაზის“ საინფორმაციო 31-04-04.
55. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 93-14-28; 877 71-17-20.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 98-39-43; 99-53-50.
57. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 41-40-63; 41-42-63.
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 74-62-67.
59. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 75-34-33.
60. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 39-95-08 (რეგისტრატურაძ.
62. წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური 48-72-88 (უფროსი მორიგეძ.
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 93-11-11.

## ჩვენი ბიბლიოთეკა

ოღონდ ეს ცეკვა მთვარის ტრადიციის რიტუალთ ეკუთვნოდა, და ამის შესახებ მხოლოდ გრძნეულთ უწყოდნენ. თუმცა მზის ტრადიციაშიც იყო რაღაც მსგავსი. ამ რაღაც მსგავსს კი ყოველთვის იპოვიდა მძებნელი, მაგრამ არცვის რატომღაც არ ნდომია მზის ტრადიციის შესწავლა.

– სოფელ-ქვეყნის საიდუმლოთა უცხადობას ვეღარ შევეგუებით, – ეუბნებოდა ბრიდა ლორენსს. – ეს სუყოველი საიდუმლო ახლა თვალწინ გვიდევს. არა, სხვანაირად არ გამოვა, უნდა გავკუდიანდე, და აი ნახავ, არც ერთს არ დავტოვებ გაუცხადებელს.

Დანიშნულ დღეს ბრიდამ ტყეს მიმართა. ხეებს შუა გახლართულ ბილიკს მისდევდა, და ბუნების ჯადოსნურ სიმშვიდეს გრძნობდა. ექვსასი წლის წინათ ეს ტყე ქურუმ დრუიდთა სალხინებელი იყო, მაგრამ დადგა დღე, როცა წმინდა პატრიკმა გველის სინსილა გაწყვიტა, და დრუიდნი გაქრნენ. თუმცა თაობიდან თაობას გადაეცემოდა ამ ადგილის მიმართ მეზობელი სოფლის მცხოვრებთა შიშიან-პატივიანი დამოკიდებულება.

ტყის პირას ბრიდა ხირღამოსილ უიკას შეეყარა, რომელსაც გვერდით კიდევ ოთხი ქალი ედგა, ოთხივე ჩვეულებრივ ჩაცმული. ველობის შუაგულში – სადაც ადრე ფერფლი და ნაცარი ენახა, – ახლა იქ კოცონი ენთო. და ბრიდა შეუცნობელი და აუხსნელი შიშით უმზერდა ცეცხლს: ხან ლონის ნაწილი ახსენებდა თავს, რომელ ნაწილსაც ის თავის თავში ატარებდა, და ხანაც იმ ცეცხლის მომაკვდინებელი ძალა, სხვა თავისი წინა არაერთი შეგვამების ჟამს რამდენჯერმე რომ განეცადა.

გამოჩნდნენ სხვა ქალებიც. ერთნი თვითონ ბრიდას ხნისანი ჩანდნენ, ზოგნიც უიკაზე უფროსებად გამოიყურებოდნენ. სულ ცხრანი იყვნენ.

– კაცებისთვის დღეს არ დამიძახია... მოდით მთვარის სუფევის დადგომას დავუცადოთ.

მთვარის სუფევა ღამეა.

ისინი კოცონის გარშემო ისხდნენ და ენას ამღერებდნენ, მთისა თუ ბარის ათასგვარ ალიან-ჩალიანს ჰყვებოდნენ. ბრიდას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, სტუმრად ვარ მოპატიჟებულიო, თუმცა იქაური ვითარება მთლად ერთ ფინჯან ჩაიზე სასაუბროდ შეკრებილ ქალთა მარაქას არა ჰგავდა.

როგორც კი ცა ვარსკვლავებით მოიჭედა, მდგომარეობა შეიცვალა. უიკას მხრივ არცრა მითითება საჭირო არ გამხდარა – საერო ლაპარაკი თავისთავად ჩაცხრა, და ბრიდა თავის თავს დაეკითხა: „ამათ, რა, ახლაღა შეამჩნიეს, რომ თვალწინ კოცონი უნთიათ, გარშემო კი ტყეა?“

მცირე ხანს სუყველა დუმდა, მერე უიკა აძრახდა:

– ყოველწლიურად ამ ღამეს მთელი ქვეყნის კუდიანები ერთად იყრიან თავს, რათა ლოცვა აღავლინონ და პატივი მიაგონ თავიანთ წინამორბედთა ხსოვნას. ტრადიციით აგრეა დაწესებული: წელიწადში ერთხელ, მთვარე მეათედ რომ განახლდება, კოცონთან უნდა მოვიყაროთ თავი, რომელი კოცონიც სიცოცხლეც იყო და სიკვდილიც ჩვენთა დევნილ დათათვის.

უიკამ ხირღის ქვეშიდან ხის კოვზი ამოიღო: – აი სიმბოლო! – და ყველას დაანახვა.

ქალები აზეზდნენ, ერთმანეთს ხელები ჩაჰკიდეს, ცად აღაპყრეს ეს ერთურთისთვის ჩავლებული ხელები და უიკას ლოცვის ყურის დასაგდებად სმენად იქცნენ:

– მაშ, შევთხოვოთ ქალწულ მარიამს, რათა ამაღამ თავის ძესთან – იესოსთან ერთად მოწყალე თვალით გადმოგვხედოს. ჩვენს ტან-სხეულში ჩვენთა წინაპართა სხვა ნაწილი თვლემს, ყოვლად უწმინდესმა ქალწულმა დაგვილოცოს ისინიც.

მაშ, გვწყალობდეს ყოვლად უწმინდესი ქალწული, რამეთუ დედანი ვართ და აწ ისეთ სოფელ-ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც მამანი ყოველდღიურად სულ უფრო გვიყვარებენ და გვიგებენ. ოღონდ სუყოველ ჩვენგანს ტანსხეულზედ გარდასულ ცხოვრებათა ნაჭდევი რამ გვატყვია და ნაჭდევი ესე ჯერეთ კიდევ გვტკივა.

მაშ, დაგვხსნას ყოვლად უწმინდესმა ქალწულმა ამა წინა ცხოვრებათა ნაჭდევთ და დაგვიშრიტოს ბრალისა გრძნობა, ჩვენს სულებში მუდმივ რომ ჟოლავს. ბრალსა ამას შინიდან ყოველი გამოსვლისას განვიცდით, რამეთუ შვილთა ჩვენთა მარტო ვტოვებთ, რათა საზრდო არ მოვაკლოთ და სხვისი ხელის შემყურენი არ გავხადოთ. ბრალსა ამას შინიდან გამოუსვლელადაც განვიცდით, რამეთუ გვგონია, რომ სრულად ვერ ვიყენებთ სოფელ-ქვეყნისგან ჩვენთვის ბოძებულ თავისუფლებას. ბრალსა ამას განვიცდით სუყველაფრისა გამო, თუმცაღა არც არაფერში არა ვართ ბრალეულნი, რამეთუ ყოველჟამს ჩამოშორებულნი ვიყავით ხელისუფლებას, ანუ არცროდის არცრა საქმე არ გადაგვიწყვეტია.

მაშ, ნუ იგულმავიწყებს ყოვლად უწმინდესი ქალწული, რომ ჩვენ, დედანი, მაშინაც ქრისტეს გვერდით ვიდექით და არსადაც არ წავსულვართ, ოდეს მამათ დაუტევეს მაცხოვარი და განუდგნენ თვითონ იმასაც და იმის რწმენასაც; გოდებითაც ჩვენ ვგოდებდით, ოდეს იესომ თავისი ჯვარი იტვირთა, სიკვდილის ჟამსაც ჩვენ ვედექით ფეხთით, ისიც ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ უფლის სამარხი ცარიელი იყო. ვერც ვერაფერში თავს ვერ დავიდანაშაულებთ.

მაშ, შეგვახსენებდეს ყოვლად უწმინდესი ქალწული, როგორ გვერეკებოდნენ და გვდევნიდნენ იმის გამო, რომ ჩვენ სიყვარულის რელიგიის აღმსარებელნი ვიყავით. ვიდრემდის ზოგ-ზოგნი ცოდვის ძალით ცდილობდნენ ჟამთა სვლის დაბრკოლებას, ჩვენ ჩვენს აკრძალულ დღეობებზე ვიკრიბებოდით და ვხარობდით, რომ ამიერსოფლად კიდევ იყო დარჩენილი მშვენიერება. ამის გულისთვის კი გვასამართლებდნენ და კოცონზე დაწვას გვისჯიდნენ.

მაშ, შეგვახსენებდეს ყოვლად უწმინდესი ქალწული ჩვენთა წინამორბედთა ამბავს, რომელ წინამორბედთაც, წმინდა ჟანა დ' არკისა არ იყოს, ღვთის სიტყვა ჩაესმოდათ და კაცურად გადაცმა უწევდათ. და მაინც კოცონთა ცეცხლში იღუპებოდნენ.

უიკამ ხის კოვზი ორივე ხელით აიღო და ხელები ეგრევე წინ გაიშვირა.




– აი ჩვენთა წინამორბედთა მარტვილობის ნიშანი. მაშ, ცეცხლი, რომელმაც შთაგვინთქა ის წინამორბედნი, მიწყივ ბრიალებდეს ჩვენს სულებში. რამეთუ ისინი ჩვენში არიან. რამეთუ ჩვენ ისინი ვართ.

და კოვზი ცეცხლში ისროლა.

Ბრიდა კვლავინდებურად გულმოდგინედ ასრულებდა უიკასგან ნასწავლ რიტუალთ. არცროდის საკურთხევლის სანთელს არ აქრობდა, ცეკვავდა სოფელ-ქვეყნისეულ ხმიანობას აყოლილი, სულ უკნინეს რხევასა და თრთოლას უწყობდა ტან-ფეხს. „ჩრდილთა წიგნში“ საგულდაგულოდ აღნიშნავდა კუდიანებთან შეხვედრის დღეებს, კვირაში ორჯერ მიდიოდა, თვალს ავლებდა წმინდა კორომს. და, თავისდა გასაკვირად, შეამჩნია, რომ ბალახებსა და მცენარეებშიც ცოტა გარკვევა დაიწყო.

მაგრამ არსაიდან არცრა ხმა არ ისმოდა, რომელ ხმათა გაღვიძებაც აგრერიგად ეწადა უიკას.

ვერც კიდევ მანათობელი წერტილის დანახვას ვერ ახერხებდა ყმაწვილქალი.

„ვინ იცის, იქნებ ჩემს სხვა ნაწილს ჯერეთ კიდევ ვერ ავართვი აზრი“, – არცთუ უკრთომლად, არცთუ შიშისგან თავდახსნილი ფიქრობდა ხოლმე ბრიდა. სხვა რა გზა იყო, ასეთი ხვედრი რგებოდა ყველას, ვინც მთვარის ტრადიციას დაუფლებოდა – თავისი ცხოვრების მამაკაცის ამბავში არცროდის არ უნდა მოტყუებულიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ როგორც კი ნამდვილ გრძნეულად, ნამდვილ ჯადოქრად გადაიქცეოდა, სამუდამოდ უარს იტყოდა, დანარჩენ ჩვეულებრივ ადამიანთაგან განსხვავებით, – სიყვარულის ილუზიაზე. ეს კიდევ იმას ნიშნავდა, რა თქმა უნდა, რომ ნაკლებ დაიტანჯებოდა – ანდა იქნებ სულაც არ დატანჯულიყო, რადგან უკვე იმის შესაძლებლობა ექნებოდა ზეგარდმო ბოძებული, რომ სხვებზე უფრო მძაფრად და მხურვალედ ჰყვარებოდა ამქვეყნად ყოველივე. ხოლო რაც შეეხება სხვა ნაწილს, ეს კაცადკაცადის, თითოეული ადამიანის ღვთიური განგებულებაა. ტრადიციები გვასწავლიან: უკეთუ ოდესმე კიდევაც რომ განვშორდეთ სხვა ნაწილს, უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა ნაწილის სიყვარული დიდებით ამკობს მყვარებელს, გაგება-შეგნებასა სძლვნის და სულს, სამშვინველს, ნათელი სევდით უვსებს, რომელი სევდაც განწმენდს და ამაღლებს კიდეც.

მაგრამ ეს სხვა რამესაც ნიშნავდა: რაწამსაც ის მანათობელ წერტილს დაინახავდა, იმიერიდან ვეღარასოდეს ვერცრა იმ სიამესა და სიტკბოებას ვერ მოესწრებოდა, სიკვდილისშვილნი სიყვარულის ღამის წყვდიადში რომ ვნახულობთ. და ბრიდას აგონდებოდა ხოლმე, რა ხშირად იტანჯებოდა ვნებამორეული, რა ხშირად დასთენებოდა თავზე ტელეფონის ზარის ამაო მოლოდინში. აგონდებოდა ქალაქგარეთ რომანტიკულად გატარებული არა ერთი და ორი უიქენდი, რომელთაც ისევ ახალი კვირის დამდეგი ცვლიდა თავისი ათასი საზრუნავით; თავს ახსენებდნენ ხოლმე აგრეთვე ის წვეულებებიც, სადაც უმეტესად გული უწყალდებოდა და ხან ვის ავლებდა მაძიებელ თვალებს, ხან ვის. ჟამისად იმ იოლი გამარჯვების სიხარულიც წამოაგონდებოდა, რომელიც იმის დასტურად მოეპოვებინა, რომ იოლად გამარჯვებაც შესაძლებელია. არცროდის თავს არ ანებებდა არც მარტოობის ნაღველი, მთლად გაჟღენთილი იმ რწმენით, რომ ის ამქვეყნად ერთადერთ ადამიანს – სხვისგან ქმრად დაგულებულ ვისმე უნდა გაებედნიერებინა. ეს ყოველივე როგორც თვითონ ბრიდას სამყაროსი, ისე ყველა იმ ადამიანის სამყაროს ნაწილი იყო, ვისაც ის, ბრიდა, იცნობდა. ამას სახელად სიყვარული ერქვა, და ადამიანები ადამპაპის დროიდან მოყოლებული კიდევაც აგრე ეძებდნენ თავიანთ სხვა ნაწილს – ერთმანეთს თვალებში ჩასცქეროდნენ იმ იმედით, რომ იქ გულისთქმის ციაგს დაუნახავდნენ ერთიმეორეს. ბრიდა კი არცროდის არცრა მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამას, პირიქით, უაზრობად მიაჩნდა სხვისი გულისთვის ტანჯვა, უაზრობადვე მიაჩნდა იმის შიშით სიკვდილიც, ვაითუ ვერცროდის ისეთ ვისმე ვერ შევხვდე, ვისთან ერთადაც ცხოვრებას გავიყოფდიო. და ახლა, როცა უცებ განთავისუფლდა ამ შიშისგან, სულაც არ მომატებია იმის რწმენა, რომ ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც თვითონ ფიქრობდა.

„ვითომ მართლა კი მინდა მანათობელი წერტილის დანახვა?“

და მოგვი წამოაგონდა – ახლა უკვე ეგონა, რომ ის მართალი იყო, როცა თქვა, მხოლოდ მზის ტრადიციის წყალობით არის შესაძლებელი სიყვარულის გამკლავებაო. მაგრამ თავისი გადაწყვეტილების შეცვლა აწ აღარ შეეძლო: რახან ამ გზას დაადგა, ბოლოში უნდა გასულიყო. ბრიდამ იცოდა: უკეთუ არჩეულ გზაზე ახლა უარს იტყოდა, მერე სულმუდამ უფრო გაუძნელდებოდა რაგინდარა არჩევანი.

ერთხელაც, ხანგრძლივი ლექციის შემდეგ, რომელიც იმ რიტუალთ მიეძღვნა, ოდესღაც გრძნეულ-ჯადოქრები და კუდიანები წვიმის მოსაყვანად რომ ასრულებდნენ, – ბრიდას ყველაფერი თავის „ჩრდილთა წიგნში“ უნდა აღენუსხა, თუმცა იცოდა, რომ სიცოცხლეში ეს არც არაფერში არ გამოადგებოდა, – უიკამ ჰკითხა, რაც კაბები გაქვს, ყველას თუ ხმარობო.

– რასაკვირველია, არა, – მიუგო ბრიდამ.

– მაშ, აბა, მომავალი კვირიდან სუყველა უნდა იხმარო, რაც კარადაში გიკიდია.

ყმაწვილქალს მოეჩვენა, კარგად ვერ გავიგე, რა მითხრაო.

– თუ რამ ჩვენი ამანის, ანუ ენერგიის თუნდაც სულ მცირე ნაწილაკს შეიცავს, არცრა უძრავად არ უნდა დავტოვოთ. კაბები, რომელთაც შენთვის ყიდულობ, შენს ნაწილს შეადგენენ და თითოეული რაღაც განსაკუთრებული რამ შემთხვევის მოწმეა. ერთი, ალბათ, მაშინ გაქვს ნაყიდი, როცა იმ დღით სიცოცხლე გიხაროდა და საკუთარი თავისთვის საჩუქრის მირთმევა მოისურვე. მეორე იქნებ მაშინ იყიდე, როცა ვიღაცამ გაწყენინა ანდა გული გატკინა და შენ ახალი კაბის შეძენით გადაწყვიტე იმ წყენისა და გულისტკივილის ანაზღაურება. მესამე კაბის ყიდვის მიზეზი კი ეგება სულაც ის იყო, რომ შენი ცხოვრების აუცილებლად შეცვლა განიზრახე.

კაბები ემოციას მუდამ ნივთიერებად – მატერიად გარდაქმნიან, ანუ მატერიას ამატერიავებენ, მაპატიე, ცოტა კალამბურივით გამომივიდა. ეს ერთ-ერთია ხილულსა და უხილავს შუა გადებულ იმ ხიდთაგან, რომელთა შესახებ ადრეც გელაპარაკე. არ ვიცი, იცი თუ არა, რომ ისეთი ტანსაცმელიც არის, რომელსაც შენი ვნებაც კი შეუძლია, ხიფათში ჩაგდება, რადგან სულ სხვა ადამიანისთვის იყო შეკერილი, ბოლოსა და ბოლოს კი შენს ხელში აღმოჩნდა.

ბრიდას ესმოდა, რასაც ეუბნებოდა მოძღვარი. ჰქონდა, როგორ არა ჰქონდა ზოგი რამ ისეთი, რისი ჩაცმაც არ შეეძლო: როცა კი ჩაიცვა, ყოველთვის რაღაც სისაძაგლე შეემთხვა.

გადმოაქართულა [sic]

გადმოაენა
**გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171.

## შვილიშვილის სარჩელი

### იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

**განყოფილება V. „ამონაწერი პოლიტბიუროს ოქმიდან“ № 1 (ბერის სახელზე)**

25. ამონაწერის ბლანკი იწყება გაფრთხილებით: *„ექვემდებარება დაბრუნებას 24 საათის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული სექტორის მე-2 ნაწილში.* ბლანკზე მარცხნივ ვერტიკალურად კიდევ ერთი გაფრთხილებაა: *„ამხანაგს, რომელიც მიიღებს დოკუმენტს, არ შეუძლია არც გადასცეს, არც გააცნოს იგი ვინც უნდა იყოს, თუ არ არის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური მითითება. აღნიშნული დოკუმენტების ასლის გადაღება და ამონაწერების გაკეთება მათგან კატეგორიულად აკრძალულია. შენიშვნა და გაცნობის თარილი თითოეულ დოკუმენტზე კეთდება პირადად იმ ამხანაგის მიერ, ვისაც დოკუმენტი ეხება, და მისი პირადი ხელმოწერით. საფუძველი: სკპ (ბ)ძ ცენტრალური კომიტეტის 18/VII – 24 წლის დადგენილება“.*

„ამონაწერი ბერიასთვის“ არის პირველი ეგზემპლარი (ორიგინალი)ძ „შელეპინისთვის განკუთვნილი ეგზემპლარისგან“ განსხვავებით. სწორედ ამ ამონაწერის ორიგინალი გაგზავნილის შესაბამისად, უნდა გაეგზავნათ ბერიასათვის გასაცნობად. ამას მოწმობს შენიშვნები მეორე გვერდზე, მათ შორის ხელმოწერილი შენიშვნა ამ ამონაწერის თითქოსდა ხელმეორედ გაგზავნის შესახებ ბერიასათვის 1944 წლის 4 დეკემბერს. მაგრამ „ამონაწერში ბერიასათვის“ არ არის რაიმე შენიშვნა და ლ.პ.ბერიას ხელმოწერა, რომელიც ადასტურებს, რომ ის გაეცნო ამ ამონაწერს როგორც 1940, ისე 1941 წელს.

26. „ამონაწერს ბერიასთვის“ არ აქვს ამონაწერებისთვის სავალდებულო ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. სტალინის ხელმოწერა და სკპ (ბ)ძ ცენტრალური კომიტეტის მასტიკური ბეჭედი.

27. „ამონაწერი ბერიასთვის“ დაბეჭდილია ბლანკზე, რომელიც არ გამოიყენებოდა პოლიტბიუროს საქმის წარმოების პრაქტიკაში. დღემდე ცნობილია ასეთი ბლანკის მხოლოდ ორი ეგზემპლარი – ორივე № 1 „დახურული პაკეტიდან“ კატინის შესახებ.

28. „ბერიასთვის ამონაწერის“ ბლანკზე არ არის ყველა ოფიციალური დოკუმენტისთვის აბსოლუტურად აუცილებელი ელემენტი – ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ პოლიტბიუროს ყველა ბლანკი, რომლებიც გათვალისწინებული იყო სკპ (ბ)ძ ცენტრალური კომიტეტის ფარგლებს გარეთ მრავალი დოკუმენტებისთვის, აუცილებლად უნდა დაწყებულიყო კომუნისტების მთავარი ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

**განყოფილება VI. „ამონაწერი პოლიტბიუროს ოქმიდან“ № 2 (შელეპინის სახელზე)**

29. დოკუმენტი სკპ (ბ)ძ ბლანკზე დამოწმებულია სკკპ ბეჭდით. ეს ფალსიფიკატორთა მარაზმის ისეთი შედევრია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ ის ეყო იმის გასაგებად, რომ მის წინაშეა გაყალბებული დოკუმენტები, და არ დაუკავშიროს სკკპ პოლონელი ოფიცრების მკვლელობასთან.

30. „ამონაწერს შელეპინისთვის“ აქვს სტალინის ხელმოწერა. გასვლის თარილი და ადრესატის გვარი ჩაწერილია სხვა საბეჭდი მანქანით.

31. ამონაწერი დათარილებულია 1959 წლის 27 თებერვლით, და ახლა გამოდის ისე, რომ პოლონელები ისხდნენ ბანაკებში ამ დრომდე და მხოლოდ 1959 წელს გადაწყვიტეს მათი დახვრეტა.

32. მითითება სამეულის შექმნისა და დახვრეტის შესახებ პოლიტბიურომ გაუგზავნა შელეპინს, მაგრამ სამეულის შემადგენლობიდან ამ დროისათვის ცოცხალი მხოლოდ ბაშტაკოვი რჩებოდა.

33. ამონაწერი რომ დაემოწმებინა, სტალინი 1959 წელს წამოდგა საფლავიდან და გამოცხადდა პოლიტბიუროზე.

34. გარეგნულად „ამონაწერი შელეპინისთვის“ გაფორმებულია, როგორც დამოწმებული ასლი, მაგრამ ფაქტობრივად ის არ არის დამოწმებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის არც ერთი თანამდებობის პირისგან: ფალსიფიკატორებმა არ იცოდნენ ელემენტარული რამ – ნებისმიერი დაწესებულების მრგვალი ბეჭედი უნდა დაისვას მხოლოდ ხელმოწერაზე. ბეჭდის დანიშნულებაა – დაადასტუროს ხელმოწერის სინამდვილე.

35. ამონაწერის პირველ გვერდზე არის შენიშვნა ლურჯი მელნით „დაბრ. 27. II – 59 წ.“, რაც დოკუმენტების საარქივო შენახვის იმ ელემენტარული წესების დარღვევაა, რომლებიც კატეგორიულად უკრძალავენ არქივების თანამშრომლებს, გააკეთონ რაიმე შენიშვნა დოკუმენტებზე მარჯვენა ზედა კუთხეში ფანქრით ფურცლის ახალი ნომრის მინაწერის გარდა საქმეების ახალი გადაბროშურების დროს.




36. ამონაწერზე წაშლილია ადრესატის ადრინდელი გვარი „ამხ. ბერიას“ და თარილი „1940 წ. 5 მარტი“. მათ ნაცვლად ჩაბეჭდილია ადრესატის ახალი გვარი. „ამხ. შელეპინს“ და ახალი თარილი „1959 წ. 27 თებერვალი“. ტექსტის ასეთი გადაკეთება კატეგორიულად იკრძალება საარქივო შენახვის წესებით.

37. „ბერიასთვის ამონაწერის“ ანალოგიურად „ამონაწერი შელეპინისთვის“ ამობეჭდილია ბლანკზე, რაც არ გამოიყენებოდა პოლიტბიუროს პრაქტიკაში და მას არა აქვს აუცილებელი ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

**განყოფილება VII. „შელეპინის წერილი“ ნ-632-შ**

*(რედაქციისაგან: ამ განყოფილებაშიც პუნქტების მიხედვით – სულ კიდევ 12 პუნქტია – განხილული და დადასტურებული საქმისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაყალბებაძ.*

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ, როგორც კი „აღმოაჩინეს“ ეს დოკუმენტები, პროკურატურამ დაუყოვნებლივ გაუკეთა მათ „ექსპერტიზა“, რათა იქვე ეცნობებინა მსოფლიოსათვის, რომ ეს დოკუმენტები „ნამდვილია“. რის საფუძველზე დაფაცურდა პროკურატურა ექსპერტიზასთან დაკავშირებით? იმის საფუძველზე, რომ ეს დოკუმენტები ჩვენს ისტორიაში არის, როგორც თვალში ეკალი – მასში აღწერილი მოვლენები ჩვენს ისტორიაში არაფრით არ დასტურდებოდა.

და პატიოსან მოსამართლეს მოსარჩლის განცხადებით შეუძლია გამოიტანოს მხოლოდ ორი კანონიერი განსაზღვრება: თუ სასამართლო არ მიიჩნევს დოკუმენტს გაყალბებულად, ის ვალდებულია მასზე დანიშნოს ექსპერტიზა, და თუ სინამდვილე დადასტურდება, ექსპერტიზის ღირებულება დააკისროს მოსარჩლეს, ვინც ამ დადასტურებათა სიყალბე გამოაცხადა. ხოლო თუ მოსამართლე თავად ხედავს სიყალბეს, უნდა შესთავაზოს მოპასუხეს, ვინც ეს დოკუმენტი წარმოადგინა, წარმოადგინოს იმ ვითარებათა სხვა დადასტურება, რომელიც ამ დოკუმენტით დასტურდება.

ასე მოითხოვს კანონი და ამაში არის ლოგიკა. დიახ, საპროცედურო კოდექსი ბადებს ბევრ შეკითხვას, მაგრამ მთლიანად ის საზღვრავს იმის გზას, თუ როგორ უნდა განსაჯოს სასამართლომ საქმე სამართლიანად.

მაგრამ რა გააკეთა ლოპატკინამ? მან არ მიიღო არც ერთი, არც მეორე კანონიერი განსაზღვრება, და ახლა ის, თავის შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში თუ დაეყრდნობა ამ სიყალბეს, ეს ნიშნავს, რომ მან, ექსპერტიზის გარეშე ალიარა ამ სიყალბეთა სინამდვილეობა. იმან რა იცის ასეთი ექსპერტიზისა? თუ ის მათ მიიჩნევს სიყალბედ, მაშასადამე, მან მოპასუხეებს წაართვა შესაძლებლობა წარუდგინონ სასამართლოს თავისი სიმართლის სხვა დადასტურება.

ამის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა მხარეების კამათი.

## თავი 4
### კამათი
### ვინ ხოცავდა უდანაშაულოებს

ამ მასალების განხილვის დროს კომენტატორმა არშინსკიმ (19.10.2009ძ გამააკრიტიკა:

*„ავტორმა დაწერა კარგი პამფლეტი თემაზე – „ვინ არიან მოსამართლეები?“ მაგრამ ძალიან გადააჭარბა სტალინისა და სტალინის ეპოქის „გათეთრებით“. ჩემი დიდი ბაბუა, უბრალო რკინიგზის მუშა ზაიბაკალიედან, 1937 წლის შემოდგომაზე დააპატიმრა შინსახკომმა და გაასამართლა, როგორც „იაპონიის ჯაშუში“. მისი ცოლი, უბრალო რუსი გაუნათლებელი ქალი რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვით ხელში გაასახლეს ქ. კანსკში, სადაც ნახევრად მშივრები ცხოვრობდნენ მიწურში. განაჩენი მათი, როგორც „ხალხის მტრების“, გადასახლების შესახებ, პირდაპირ შეეხებოდა იმ ბავშვებსაც, მათ შორის სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც – თითოეულს ინდივიდუალურად, რაზეც მეტყველებს მომდევნო საქმეებიც მათს რეაბილიტაციაზე თითოეულზე ცალ-ცალკე – ავტორის მიერ ასე საპატივცემლო საბჭოთა სასამართლოს ომისშემდგომი გადაწყვეტილებით. ჩემი დიდი ბაბუა გარდაიცვალა (ასეა ჩაწერილი ოფიციალურადძ ბანაკში უკვე 1938 წელს, და სად არის იგი დაკრძალული, უცნობია. ოჯახში უფროსმა ქალიშვილმა, ჩემმა ბებიამ, გამოიჩინა შეუპოვრობა და ომის შემდეგ ავტორის მიერ პატივცემულ საბჭოთა სასამართლოში მიაღწია თავისი მამის სრულ რეაბილიტაციას, რისი შედეგების თანახმადაც ჩემი დიდი ბებია მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ღებულობდა მცირე პენსიას კომპენსაციის სახით საბჭოთა სახელმწიფოსაგან. ამას ვწერ არა იმისთვის, რომ „გავაშავო სტალინი“, არამედ იმისთვის, რომ შევახსენო ავტორს: სსრ კავშირში რეპრესირებული იყო ასეული ათასობით, შეიძლება, მილიონობითაც. უბრალო მუშა, როგორც ჩემი დიდი ბაბუა იყო, სხვადასხვაგვაროვნების პრინციპით (მაგალითად, ასეთი ტიპით – საჭიროა „გამოვააშკარავოთ“ ამდენი და ამდენი „იაპონელი ჯაშუში“ და ა.შ.ძ. ეს სხვადასხვაგვაროვნობა მიდიოდა რეგიონებში პირდაპირ მოსკოვიდან, და ყველა ეს მასობრივი მხეცობა ხდებოდა სტალინის ნებით, რაზეც მეტყველებს დოკუმენტები პოლიტბიუროს არქივიდან. შეიძლება სტალინი „იძულებული იყო“ მოეხდინა რეპრესია და გაენადგურებინა მილიონობით უბრალო საბჭოთა მუშა, გლეხი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც, – მოდით, ავტორმა აგვიხსნას, ვინ აიძულებდა ამას სტალინს. და ამასთან ერთად სასურველია, რომ თავისი განმარტებებისთვის არ მოიხმოს ტუხაჩევსკები, რეზნიკოვები და ლოპატკინები. საკმარისია უბრალო ადამიანური სინდისი. სინდისი კი ასეთია: „სტალინი იყო არნახული მასშტაბის კაციჭამია, რომლის გამართლება შეუძლებელია და არც შეიძლება იყოს“.*

დავიწყებთ იმით, რომ არშინსკის შეეძლო მოეთხოვა არქივში თავისი დიდი ბაბუის საქმე და წაეკითხა იგი. მე ეს არ შემიძლია, ვინაიდან უდანაშაულო მსხვერპლთა საქმეები გასაიდუმლოებულია და მათი ხილვა შეუძლიათ მხოლოდ ნათესავებს, ხოლო ასობით ჩემი პირდაპირი ნათესავებიდან (უბრალო უკრაინელი გლეხებიდანძ რეპრესიების გამო არავინ დაზარალებულა – ვერ დაიმსახურეს. თუმცა ჩემი ბიძების ნახევარი დაიღუპა ფრონტზე, მამა და ბიძია ილარიონი დაბრუნდნენ ჭრილობებით – მაგრამ განა ეს საბაბია მწუხარებისთვის დღევანდელ რუსეთში? ესენი ხომ ებრაელები არ არიან, რეპრესიების უდანაშაულო მსხვერპლნი, ვის შესახებაც უნდა ვწეროთ „ხსოვნის წიგნები“, როგორებსაც წერს „მემორიალი“ სტალინის მიერ უდანაშაულოდ წამებულებზე?

მეც ხომ დიდხანს ვფიქრობდი ზუსტად ისე, როგორც არშინსკი – მიმაჩნდა სტალინი მტარვალად, მისი უდანაშაულო მსხვერპლი კი გმირებად წარმომედგინა. თუმცა, ყველაფერი ასე მარტივი როდი ყოფილა, ეჭვის რაღაც ჭიები მაინც იყო. პირველი ასეთი წამებული, რომელიც ჯერ კიდევ მოზარდობის დროს ვნახე, იყო ჩვენთან ბინაში მცხოვრები ერთი ლიტველი. როდესაც გავიგე, რომ ის რეაბილიტირებულია, აღარ მოვასვენე შეკითხვებით, და მან უხალისოდ მიამბო დაახლოებით ასეთი რამ: „როდესაც 1944 წელს რუსებმა შეტევა დაიწყეს, მამაჩემი და მე წავედით კურლანდიაში, როდესაც გერმანელები იქ დანებდნენ, მე საბჭოთა არმიაში გამიწვიეს. ვმსახურობდი გერმანიაში, როცა ვალი მოვიხადე, სამუშაოდ შორეულ აღმოსავლეთში წავედი, იქ კი ხაბაროვსკის პროკურორის ბრძანებით დამაპატიმრეს და ეტაპით ბელარუსში გამაგზავნეს. იქ ორმა გიჟმა დედაბერმა უჩვენა, რომ მამაჩემი და მე თითქოს ვხვრეტდით რუს პარტიზანებს. დამაპატიმრეს, ხოლო როდესაც დაიწყეს პიროვნების კულტის გამოაშკარავება, ბანაკში მყოფი ერთი ინჟინერი დამეხმარა, დამეწერა წერილი ხრუშჩოვის სახელზე, და მოახდინეს ჩემი რეაბილიტაცია“. მახსოვს, უკვე მაშინ დამაფიქრა იმან, რომ ის ლაპარაკობდა არა „ჩვენებმა შეუტიეს“, არა „ჩვენი პარტიზანები“, არამედ „რუსებიო“. და გაურკვეველი იყო, რომ სამხედრო სამსახურის შემდეგ ის ლიტვაში კი არ დაბრუნდა, არამედ შორეული აღმოსავლეთისკენ გასწია. მაგრამ როგორ უნდა ენდო? ხომ მოახდინეს რეაბილიტაცია, უდანაშაულო მსხვერპლი! ეს მერე მოხდა, როდესაც იმის მიხედვით, თუ როგორ ვაგროვებდი ინფორმაციას, აზრი მაშინ მიმდინარე მოვლენებზე მეცვლებოდა მეც.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-168.**

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]

ჯანდაცვა

## აქამდე სად იყვნენ

**ნევროლოგიური დისპანსერიდან ელიზბარაშვილთან დაკავშირებით გაცემული ყალბი ცნობების აღმოჩენის შემდეგ, სამართალდამცავები, კერძოდ შსს-ს სხვადასხვა სტრუქტურები, ამოქრავდნენ, გამოავლინეს ექიმების არაერთი კორუფციული გარიგების შემთხვევა.**

რუსთავის პოლიციამ გამოავლინა: შპს „რუსთავფსიქონევროლოგიის" დისპანსერის ექიმებს აღრიცხვაზე აჰყავდათ პირები, რომელთაც შემდგომ აღარ უტარდებოდათ შემოწმებები. მათ მექანიკურად ეძლეოდათ დასკვნები ავადმყოფობის შესახებ. ამის გამო „დაავადებულები" ღებულობდნენ დაწესებულ შეღავათებს. ზოგიერთებს კი პენსიებიც ენიშნებოდათ.

აღმოჩენილი დარღვევების გამო რუსთაველმა პოლიციელებმა დააკავეს რუსთავის ფსიქონევროლოგიის დისპანსერის გენერალური დირექტორი ზაზა ოხანაშვილი და მისი თანამშრომლები ალექსანდრე ოგანეზოვი, მზია ხინიკაშვილი, პავლე კანკავა. არსებული კანონმდებლობით მათ 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელით.

როგორც ექიმი-ფსიქიატრები ამბობენ, დარგში ამდენი დარღვევა არ დაგროვდებოდა, რომ არა სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროს სრული უგულებელყოფა. მკურნალობა გახდა ფასიანი, მნიშვნელოვნად შემცირდა საავადმყოფო საწოლები, საშუალო მედპერსონალის ხელფასი დაბალია. ფსიქიატრია იმ დონემდე მეორეხარისხოვნად მიაჩნია ხელისუფლებას, რომ 2007 წლის შემდეგ არ ჩატარებულა ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა აღრიცხვა. მედიკოსები ამტკიცებენ, რომ ქვეყანაში დღეს დაახლოებით 50 ათასი ფსიქიკური გართულების მქონე პირია. საგრძნობლად მოიმატა ავადმყოფობამ ბავშვებსა და მოზარდებში. „ნაციონალებს" პრობლემები არ აწუხებთ. მათ შვილებსა და ახლობლებს ხომ არ ემუქრებათ საშიშროება!

ზაზა ბილიხოძე.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

**შპს თასსკი „ელვა"** აცხადებს აუქციონს საწარმოს ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე შენობის მე-3 სართულზე 1000 კვ.მ.-ზე.

საწყისი საიჯარო ქირა 1კვ.მ. შეადგენს 4 (ოთხი) ლარს დღგ-ს და კომუნალური გადასახადების დამატებით. აუქციონის ბიჯი 5 პროცენტი საწყისი საიჯარო ქირისა.

აუქციონი ჩატარდება 2010 წლის 30 სექტემბერს 14 საათზე, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. № 10-ში ყოფილი (ჯიქიას ქ.). განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2010 წლის 29 სექტემბერი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია განაცხადი და გასაქირავებელი ფართის ღირებულების 10 პროცენტის წინასწარი გადახდა „ბეს" სახით.

საკონტაქტო ტელ: 54 51 95.

**საწარმოს დირექცია.**

ინფორმაცია

## ვის ავანტურებს ეწირება ქართული სპორტი?

**„დემოკრატიული** მოძრაოა ერთიანი საქართველოს" წევრი ლუკა კურტანიძე ბერძნულ-რომაულ, ძიუდოსა და თავისუფალი ჭიდაობის მსოფლიო ჩემპიონატზე ქართული გუნდის წარუმატებლობაში ხელისუფლებას ადანაშაულებს. ამის შესახებ განცხადება კურტანიძემ პარტიის ოფისში გააკეთა.

მისი თქმით, ხელისუფლების მხრიდან სპორტსა და სპორტსმენებზე ტოტალური კონტროლი გამოიხატება პრაქტიკულად ყველა დონეზე, ეს იქნება სპორტული მომზადება, სპორტული ბაზები, ხელმძღვანელობა თუ სხვა.

– „ჩემთვის როგორც ქართველისთვის და სპორტსმენისთვის ძნელია იმის თქმა, რომ ქართულმა ნაკრებმა სავალალო შედეგი მოიპოვა. სპორტულ ბაზაზე, რომელიც ბორჯომში მდებარეობს და ყველა პარამეტრით საუკეთესოა სპორტსმენთა სრულყოფილი მომზადებისთვის, ხელისუფლებამ უარი თქვა მხოლოდ იმიტომ, რომ აღნიშნული სპორტული კომპლექსი მათთვის პოლიტიკურად მიუღებელი ფიგურის, ლერი ხაბელოვის საკუთრებაა. არაერთი სპორტსმენი, რომელმაც მომზადება აღნიშნულ ბაზაზე გაიარა, შემდგომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა. უნდა ითქვას რომ ქართული სპორტი ხელისუფლების ავანტიურისტულ პოლიტიკას ეწირება", – განაცხადა ლუკა კურტანიძემ.

## ყაზახეთი ბაქოს პროექტის წარმატებაშია დაინტერესებული

**ყაზახეთი** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ენერგორესურსების ტრანსპორტირების გაზრდითაა დაინტერესებული, ამის შესახებ განაცხადება ყაზახეთის პრეზიდენტთან არსებული სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა ბოლატ სოლტანოვმა.

მისი თქმით აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა მოლაპარაკებების გამართვა აზერბაიჯანულ მხარესთან და ბაქოს პროექტის წარმატებაში დარწმუნება.

ჯი-ეიჩ-ენი

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

ინფორმაცია

### ქართველი ჟურნალისტის მკვლელობის შემკვეთი ცნობილია

ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის დაკვეთა გენერალმა ალექსეი პუკაჩმა უკრაინის ექს-შინაგან საქმეთა მინისტრის იური კრავჩენკოსგან მიიღო.

აღნიშნულის შესახებ ნათქვამია უკრაინის გენერალური პროკურატურის გამომძიებლის ალექსანდრე ხარჩენკოს დადგენილებაში.

დადგენილება 2010 წლის 7 სექტემბერსაა გამოტანილი, რომლის მიხედვით პუკაჩს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით აქვს წარდგენილი.

დადგენილებაში ასევე აღნიშნულია შინაგან საქმეთა ექს-მინისტრის იური კრავჩენკოს მიერ ჩადენილი დანაშაულობების შესახებ, რომლის მიხედვითაც კრავჩენკოს ჩადენილი აქვს არაერთი დანაშაული.

კრავჩენკოს ჩადენილი დანაშაულობებისათვის სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

### ორი წლის ბიჭუნას გველმა უკბინა

რუსთავში 2 წლის ბავშვს საკუთარი სახლის ეზოში, ხელისგულზე გველმა უკბინა. მძიმე მდგომარეობის გამო ბავშვი კატასტროფის ცენტრის თანამშრომლებმა თბილისში, იაშვილის სახელობის კლინიკაში გადმოიყვანეს.

იაშვილის კლინიკის ექიმების განცხადებით, ბავშვის მდგომარეობა თავდაპირველად მძიმე იყო. ამჟამად, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა.

### კრიმინალმა თავი ჩამოიხრჩო

რუსეთის ქალაქ ჩიტაში, ქართველმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა გელა ტაკიძემ, მეტსახელად „გელა ქობულეთსკიმ" საკუთარ საკანში თავი ჩამოიხრჩო. ამის შესახებ რუსული მედია ადგილობრივ სამართალდამცავებზე დაყრდნობით იუწყება.

არსებული ინფორმაციით, თავის დროზე, გელა ტაკიძე მოსკოვში მოქმედ კავკასიურ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა. რუსეთის დედაქალაქში ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულობების გამო ტაკიძეს 18 წელი ჰქონდა მისჯილი.

### ბელორუსი არჩევნებისთვის ემზადება

ბელორუსში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის, 19 დეკემბერს გაიმართება. ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნის პარლამენტმა მიიღო.

ბელორუსის კანონმდებლობის მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნები მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე უნდა ჩატარდეს.

ამჟამად არსებული ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ალექსანდრე ლუკაშენკო აპირებს.

ამ ეტაპზე უცნობია თუ ვინ დაუპირისპირდება მას ოპოზიციის წარმომადგენლებიდან, თუმცა ექსპერტები აცხადებენ, რომ ლუკაშენკოს მომავალ არჩევნებში გამარჯვება გარანტირებული აქვს.

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## დააკავეს „კვარციტის" თანამშრომლები

ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომლების მიერ გატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის წევრები დაკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულია მაიზერ ყაფლანიშვილი, სოსო სამსონიშვილი, ივანე სუხიშვილი, რამაზ მარტიაშვილი, გიორგი კოპალიანი, ავთანდილ გუჯეჯიანი, აკაკი გაბიძაშვილი, ზვიადი ბასილაშვილი, რომლებიც ბოლნისის რაიონ, დაბა კაზრეთში მდებარე შ.პ.ს. „კვარციტი"-დან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სისტემატურად ფარულად ეუფლებოდნენ დიდი ოდენობით ოქროს შემცველ ნივთიერებას.

ასევე დაკავებულია შ.პ.ს „კვარციტი"-ს საწარმოს ცვლის უფროსი რაულ წიფიანი, რომელიც დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდა აღნიშნულ პირებთან და ფულადი სარგებლის მიღების მიზნით ხელს უწყობდა დანაშაულის ჩადენაში.

გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ სოსო სამსონიშვილი გამოტანილ ნივთიერებას გადასცემდა კობა ბალახაძეს რომელსაც გადასამუშავებლად მიქონდა ოქრომჭედელთან თამაზ მჭედლიშვილთან, ეს უკანასკნელი კი გადამუშავების შედეგად მიღებულ ოქროს, რეალიზაციას უკეთებდა. ორივე პიროვნება დაკავებულია.

გამოძიებას ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამართველო აწარმოებს, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, რაც ითვალისწინებს 6-10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

ჯი-ეიჩ-ენი

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

ინფორმაცია

## ალნიშნავენ თუ არა პარლამენტარიზმის აღდგენის იუბილეს?



კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტარიზმის აღდგენის 20 წლისთავის კულტურული ღონისძიებებით აღნიშვნას ითხოვს.

მისი თქმით, მიმდინარე წლის 14 ნოემბერს სრულდება 20 წელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველი სესიის გამართვიდან, ამიტომ ქვეყანამ ეს დღე სათანადოდ კულტურული ღონისძიებით უნდა აღნიშნოს.

გამსახურდიას ამ მოთხოვნას პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს საკითხები პარლამენტის თავმჯდომარის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გადაწყდება.

ХО-ЭОБ-ЭБО

ინფორმაცია

## გმირების სახელით პოლიტიკური ვაჭრობა დაუშვებელია

„ქრისტიან-დემოკრატები" თავდაცვის სამინისტროს ავღანეთში გარდაცვლილი მუხრან შუკვანის სიცოცხლის ბოლო წუთებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვას და საზოგადოებისთვის გაცნობას სთხოვენ.

ეს მოთხოვნა „ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა გუშინ პარლამენტის სესიაზე დააყენა.

როგორც ლალიაშვილმა აღნიშნა, ავღანეთში უფროსი ლეიტენანტის მუხრან შუკვანის გმირულად დაღუპვის და კაპრალ გითოლენდიას მძიმედ დაჭრის ფაქტზე „საზოგადოების კონსოლიდაცია ვერ მოხდა", რადგან „ზოგი ვაიპოლიტიკოსი და ვაიექსპერტი შეეცადა, ამოენთხიათ შხამი და პოლიტიკური ჟონგლიორობა მოეწყოთ."



ეს კი, ლალიაშვილის თქმით, კატეგორიულად მიუღებელია, ვინაიდან ეხება „ქართველების გმირობის ფაქტს" და ითხოვს, რომ თავდაცვის სამინისტრომ ავღანეთიდან გამოითხოვოს ინფორმაცია, თუ როგორი იყო გარდაცვლილის სიცოცხლის ბოლო წუთები და ეს ფაქტი საზოგადოებას გააცნოს.

ეს ადამიანები არიან გმირები და მათი გმირობის შესახებ საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, რათა არ გახდეს პოლიტიკური ვაჭრობის და ჟონგლიორობის საგანი, – აცხადებს ნიკა ლალიაშვილმა.

## ჩვენგან განსხვავებით ირანში კანონი კანონია



პარლამენტის გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელი, დეპუტატი რუსუდან კერვალიშვილი საქართველოს პარლამენტს ირანის მოქალაქე საქინე აშთიანის დახმარებას თხოვს. ამის შესახებ განცხადება მან პარლამენტის სესიაზე გააკეთა.

რუსუდან კერვალიშვილი დეპუტატებს მოუწოდებს შეუერთდეს საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნას და პარლამენტმა მოამზადოს მიმართვა ირანის ხელისუფლებისადმი და მიმართვაში თხოვონ რომ საქინე აშთიანს შეუნარჩუნონ სიცოცხლე.

როგორც კერვალიშვილმა აღნიშნა, 43 წლის ქალბატონ საქინე აშთიანს, რომელიც ორი შვილის დედაა ირანის ხელისუფლებამ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. იგი ადულტერის ბრალდებით პირველად 2006 წელს გაასამართლეს და 99 როზგი მიუსაჯეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს განაჩენი მაშინ სისრულეში იქნა მოყვანილი 2007 წელს სასამართლომ მისი საქმე განაახლა და ჩაქოლვა მიუსაჯა. საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად საქინე აშთიანის სიკვდილით დასჯა 21 ივლისს 20 დღით გადაუვადეს, თუმცა საერთაშორისო საზოგადოება ითხოვს, რომ არ მოხდეს ქალბატონის დასჯა.

ХО-ЭОБ-ЭБО

## ინფორმაცია



### კახეთში უკვე 9 ათასი ტონა ყურძენია ჩაბარებული

კახეთში, ღვინის ქარხნებმა 9 000 ტონა ყურძენი უკვე ჩაიბარეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა ტარიელ გაბუნიამ განუცხადა, ამ დროისთვის რეგიონში ყურძენს 20 ღვინის ქარხანა იღებს.

— კახეთში სულ 85 584 ტონა ყურძნის მოსავალია მოსალოდნელი, თუმცა მოსავლის დიდი ნაწილი სასურსათო ბაზრებში იყიდება, ნაწილს მევენახეები სახლში წურავენ. ღვინის ქარხნებში 13 000 ტონა ყურძნის მიღებას ვვარაუდობთ. 9 000 ტონა, ანუ მოსავლის დიდი ნაწილი უკვე დაბინავებულია, — აღნიშნა გაბუნიამ.

### სამხედრო ბაზები იარაღის სანაცვლოდ



„ყირგიზეთი რუსეთს თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის 49 წლით განთავსებას სთავაზობს, იმ პირობით, რომ რუსეთი ბაზის სანაცვლოდ ანგარიშსწორებას იარაღით მოახდენს.

გაზეთ „კომერსანტის“ ინფორმაციით, ყირგიზეთის დროებითი მთავრობა იმედოვნებს, რომ რუსული იარაღით რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში პოზიციებს გაამყარებს.

აღნიშნული წინადადებით ყირგიზეთის თავდაცვის მინისტრმა აბიბულა კუდაიბერდიევმა რუსეთის თავდაცვის მინისტრს ანატოლი სერდიუკოვს უკვე მიმართა.

რუსული მედიის ინფორმაციით, ყირგიზეთის თავდაცვის მინისტრი ითხოვოს რაც შეიძლება სწრაფად გაფორმდეს შეთანხმება ყირგიზეთის ტერიტორიაზე არსებული ხუთი რუსული სამხედრო ნაწილის ერთ სამხედრო ბაზად ჩამოყალიბების შესახებ.

რუსული მედია ასევე იუწყება, რომ ყირგიზეთის დროებითი მთავრობის სიჩქარე ამ საკითხთან მიმართებაში სრულიად გასაგებია. მთავრობას რომელიც სრულად ვერ აკონტროლებს სიტუაციას რესპუბლიკაში სურს, რომ მისი არმია და შს სამინისტროს ნაწილები იარაღით უზრუნველყოფილნი იყვნენ.

მოსკოვის პასუხი ბიშკეკის წინადადებაზე ჯერჯერობით უცნობია.

ХО-ЭОБ-ЭБО

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]

# განცხადებები აუქციონის შესახებ

**2010 წლის 23 სექტემბერს 10:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება სს "ელექტროთერმოშედუღების" (მისამართი: თბილისი, რუსთავის გ/ტ 50 ს/ნ 204379467) კუთვნილი უძრავი ნივთებისა და მერაბ შოთაძის (მის.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №4, ბინა 27, პ/ნ 01024010060) კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება სს „ელექტროთერმოშედუღების" შემდეგი უძრავი ნივთები:**

1. მის.: თბილისი, რუსთავის გზატკეცილი № 50, საკადასტრო კოდი №01.18.12.023.008, დაზუსტებული ფართობი 20622 კვ.მ., შენობა-ნაგებობები (დამხმარე მაღაზია) საერთო ფართით 127.72 კვ.მ. და დამხმარე ფართობით 49.88 კვ.მ. – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 600 000 (ექვსასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;

2. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი № 50, საკადასტრო კოდი №01.18.12.023.007, დაზუსტებული ფართობი 9304 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 300 000 (სამასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

**გასაყიდად გამოტანილი იქნება მერაბ შოთაძის კუთვნილი უძრავი ნივთი:**

მის.: სოფელი საგურამო, მამაპაპეული, საკადასტრო კოდი № 72.06.03.114, დაზუსტებული ფართი 1240 კვ.მ, შენობა № 1-გაშენების ფართი 162.7 კვ.მ. – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს "თიბისი ბანკი".

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

**2010 წლის 23 სექტემბერს 10:30 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება ნაზი მამაცაშვილის (მის.: თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, 18-ე კორპ. ბინა 30, პ/ნ 01006011152), მარიამ კოტეტიშვილის (მის.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 32, ბინა № 9, პ/ნ 01024045321), ციცინო მერაბიშვილის (მის.: თბილისი, გლდანის მასივი, მე-6 მ/რ, კორპუსი 26, ბ. 31 პ/ნ 01002016060), მერაბ დანელიას (მის.: დიღმის მასივი, VI კვარტალი, კორპუსი 15, ბ. 37 პ/ნ 01006002906), გიორგი ჭიკაძის (მის.: თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ, კორპ. 36, ბინა 17, პ/ნ 01008011679) და ქეთევან დარჩიას (მის.: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. № 37 დ. ბინა 27 პ/ნ 01005002115) კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია.**

**გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთები:**

1. ნაზი მამაცაშვილის კუთვნილი უძრავი ნივთი მდებარე მის.: თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, 18-ე კორპ. ბინა 30, 49.00/2364.00 წილი, საკადასტრო კოდი № 01.13.03.040.002.01.030, – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 30 000 (ოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;

2. მარიამ კოტეტიშვილის კუთვნილი უძრავი ნივთი, მდებარე მის.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 32, ბინა № 9, 95 კვ.მ., საკადასტრო კოდი № 01.10.15.012.006.01.009 – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 40 000 (ორმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

3. ციცინო მერაბიშვილის კუთვნილი უძრავი ნივთი, მდებარე მის.: თბილისი, გლდანის მასივი, მე-6 მ/რ, კორპუსი 26, მე-2 სართული, ბინა № 31, წილი 51.00/7328, საკადასტრო კოდი № 01.11.10.008.008.01.031 – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 30 000 (ოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;

4. მერაბ დანელიას კუთვნილი უძრავი ნივთი, მდებარე მის.: თბილისი, დიღმის მასივი, VI კვარტალი, კორპუსი 12, ბინა № 18, წილი 47.00/1775.00 – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 30 000 (ოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;

5. გიორგი ჭიკაძის კუთვნილი უძრავი ნივთი, მდებარე მის.: თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 36, მე-5 სართული, ბინა № 17, 105 კვ.მ., საკადასტრო კოდი № 01.10.08.005.010.01.017 – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 30 000 (ოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;

6. ქეთევან დარჩიას კუთვნილი უძრავი ნივთი მდებარე მის.: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. № 37 დ, მე-9 სართ. ბინა № 27, 145 კვ.მ. საკადასტრო კოდი № 01.14.14.003.041.01.537 – უძრავი ნივთის საწყისი ფასია 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს "თიბისი ბანკი".

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს "თიბისი ბანკი"**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

ჭადრაკი

# შეხვედრა მედალოსნებთან

**უკვე გაუწყეთ, რომ ციურიხში მოჭადრაკეთა მსოფლიო საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე შესანიშნავად გამოვიდნენ ქართველი დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები, რომლებმაც გუნდური „ვერცხლი“ და ინდივიდუალურში ორი „ბრინჯაო“ მოიპოვეს. მესამე ადგილები დაიკავეს სოფიკო გურამიშვილმა და დავით ბენიძემ, ხოლო გუნდურში გურამიშვილს, ბენიძესა და თამარ წერეთელს მეორე ადგილი ხვდათ.**

გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში შეხვედრა მოუწყვეს ჩემპიონატის მონაწილეებს, რომლებსაც მიესალმნენ და წარმატება მიულოცეს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ და საქართველოს სტუდენტური სპორტის ფედერაციის თავკაცმა ნიკა ამაშუკელმა. მედალოსნებმა დამსწრეთ ციურიხში მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

**ვაჟა ვლადიმერიძე**



სურათზე: სოფიკო გურამიშვილი და დავით ბენიძე.
ავტორის ფოტო.

რაგბი

# „ყოჩებს“ რქები მოუგრიხეს

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ორთაბრძოლა ქუთაისის „აიას“ შინ უნდა გაემართა, მაგრამ გულშემატკივართა უმსგავსო საქციელის გამო რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა რიონისპირელებს შინ თამაში აუკრძალა (ქომაგიც ასეთი უნდა!) და, კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, „აია“ მეტოქეებს ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მოედანზე დაუხვდება. გათამაშების ცხრილის მეორე ადგილზე მყოფ თბილისის „ვისოლი-ყოჩებსაც“ იქ უმასპინძლა.**

მატჩი დედაქალაქელთა იერიშებით დაიწყო და ანგარიშის გასახსნელად ხელსაყრელი მომენტიც არაერთხელ შექმნეს, მაგრამ მათი გამოყენება ვერ შეძლეს: მახარაშვილმა ორი საჯარიმო ააცილა, სოხაძის არეკნით დარტყმულმაც ვერ მიაღწია მიზანს. ოცწუთიანი შტურმი რომ გადაიტანეს, „აიას“ მორაგბეები თანდათან გონს მოეგნენ და თავად შეუტიეს. ტაიმის მიწურულს ჩხიკვაძემ „ყოჩებს“ ლელო გაუტანა, სინაურიძემ ზუსტად გარდასახა – 7:0.

შესვენების შემდეგ პაექრობა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა მასპინძლებმა შეძლეს ორთაბრძოლის სასურველი შედეგით დასრულება – 18:10.

ამ გამარჯვებით „აიამ“ 14 ქულა მოაგროვა და კვლავ გათამაშების ცხრილს ჩაუდგა სათავეში. 12 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა „ლელომ“, რომელმაც „არმაზი“ დაამარცხა 44:13. დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „აკადემია“ – „ლოკომოტივი“ 15:27, „ხარები“ – „ბათუმი XV“ 14:12.



**გივი გაგუა**

სუმო

# აკი ბაშოზე – ჯერჯერობით უდანაკარგოდ

**ტოკიოში გასულ უქმეებზე დაიწყო სუმოისტთა შემოდგომის (აკი) ბაშო, რომელშიც სამი ქართველი გამოდის უმაღლეს დივიზიონში. „რიოგოკუ კოკუგიკანის“ 13-ათასიანი დარბაზი, ჩვეულებისამებრ, პირთამდე აივსო. ჩვენებურთაგან დოჰიოზე პირველი გავიდა თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ), რომელიც მე-15 მაეგაშირაა და ელიტიდან გასავარდნ ზონაში იმყოფება, ამიტომ მან ყველაფერი უნდა იღონოს მზის ქვეშ ადგილის შესანარჩუნებლად. პირველ შეხვედრაში იგი ასევე მე-15 მაეგაშირა კაკიძოეს შეხვდა. ქართველმა გოლიათმა (იგი 200 კილოს იწონის) მეტოქე იორიკირის ილეთით დაამარცხა.**

ასევე წარმატებით აიღეს სტარტი კოკაიმ (ლევან ცაგურია) და ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე). კოკაიმ, ანუ „შავმა ზღვამ“ ცაციათი ეფექტური გდება განახორციელა და დოჰიოზე დასცა ტოსაიუტაკა, ტოჩინოშინმა კი ოს არანს მავაშში ჩაავლო ხელი, მაღლა ასწია და ხაზს გარეთ გადაადგმევინა ფეხი.

ასპარეზობის მეორე დღეს ლევან გორგაძემ მონგოლი მე-4 მაეგაშირა ტოკუსეგავა დაამარცხა. კოკაის მეტოქე გახლდათ მე-7 მაეგაშირა კიტატაიკი. „შავი ზღვა“, მართალია, დროულად გამოეცალა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მან მოასწრო ქართველი გოლიათისთვის ხელის დარტყმა. ორივე სუმოისტი დოჰიოს სხვადასხვა კუთხეში დაეცა, ოღონდ იაპონელმა ქართველს წამის მეათედით მოასწრო გაშოტვა, ამიტომ გამარჯვება კოკაის მიეკუთვნა. გაგამარუმ 36 წლის ტოიოძაკურა მძლავრი ოშიდაშით მაყურებლებში მოისროლა.

ორიდან ორი მოგება – ასეთია ქართველთა მონაგარი. იმედია, ჩვენებური წარმატებას ამრავლებენ.

**ლექსო ცინცაძე**



ინტერნეტიდან

## ყველაზე ყეყეჩი მსოფლიოში

**ასეთი სახელი მოიპოვა მაროკოს საფეხბურთო კლუბ „ფარ რაბათის“ მეკარემ ხალიდ ასკრიმ ინტერნეტის საშუალებით მაროკოს თასზე მეთექვსმეტედფინალური მატჩის შემდეგ.**

აი, როგორი კურიოზი მოხდა „ფარ რაბათისა“ და „მაღრიშ ფეს“ შეხვედრის პენალტების სერიაში.

ხალიდ ასკრიმ ოსტატურად მოიგერია ერთ-ერთი დარტყმა და წინ გავარდა გულშემატკივართათვის მისასალმებლად, თან მკერდზე ხელს ირტყამდა და კლუბის ემბლემას კოცნიდა.

ამ დროს კი მზაკვრულად ჩახვეულმა ბურთმა მეკარის ზურგს უკან მაინც გადაკვეთა კარის ხაზი, მეკარე დროზე ვერ მიხვდა ტრიბუნებზე განწყობილების შეცვლას, ფეხბურთელმა კი, პენალტი რომ დაარტყა, მსაჯს ანიშნა, რომ ბურთმა დამატებით დარტყმის გარეშეც გადალახა კარის ხაზი და გოლი ჩაითვალა.

მეკარის ასეთი შეცდომის გამო „ფარ რაბათი“ გამოვარდა ქვეყნის თასის გათამაშებიდან.



ხოლო კადრებმა წარწერით „ყველაზე უაზრო პენალტი ფეხბურთის ისტორიაში“ მსოფლიო შემოიარა. ხალილ ასკრის სირცხვილი კი უკვე ინტერნეტის მომხმარებელმა 9 მილიონმა კაცმა ნახა.

## ამერიკაში — პირველად!

**ესპანელ ჩოგბურთელ რაფაელ ნადალისთვის ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ადგილას გამართულ ტურნირებზე გამარჯვება ჩვეულებრივ ამბად იქცა, მაგრამ ისე დაებედა, რომ აშშ-ში ჯერ არ გაუმარჯვია. როგორც იქნა, ეს ნავსიც გატეხა – ამერიკის ღია ჩემპიონატზე ორშაბათს მან პირველი გამარჯვება იზეიმა – ფინალში დაამარცხა რა სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი – 6:4, 5:7, 6:4, 6:2.**

მატჩი, მეორე სეტში წვიმის გამო თითქოს საათზე მეტი ხნით რომ შეწყდა, სუფთა დროით 3 საათსა და 43 წუთს გაგრძელდა. ამ გამარჯვებით რაფაელმა 1,7 მილიონი დოლარიც გამოიმუშავა, ჯოკოვიჩმა კი, ახალი ვერსიით მეორე ადგილიდან ფედერერი რომ „ჩამოალაგორანტა“, 850 ათასი დოლარი დაიმსახურა.



ასე რომ, ნადალმა უკვე „დიდი მუზარადის“ ყველა ტურნირი მოიგო. მან ორჯერ გაიმარჯვა უიმბლდონზე, ხუთჯერ როლან გაროსზე, ერთხელ კი ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე. ადრე ნიუ-იორკის კორტებზე ის ნახევარფინალამდე მიდიოდა.

ასეთი წარმატება, ახლა ნადალმა რომ შეძლო, ადრე მხოლოდ ავსტრალიელმა როდ ლეივერმა მოახერხა 41 წლის წინათ, და მაინც ნადალი მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში მეშვიდე მოთამაშეა, ერთი სეზონის განმავლობაში კი არა, მთელ კარიერაში „დიდი მუზარადის“ ყველა ტურნირი რომ მოიგო.

## კრივის ლამაზმანმა გადაწყვიტა

**კრივის კლუბის გახსნა გადაწყვიტა მსოფლიო ჩემპიონმა კრივში ჰოლი დანაუეიმ. თავის მშობლიურ ქალაქ ფორტ-სმიტში (არკანზასის შტატი) დარბაზი Hot Stupt მხოლოდ მოკრივეებისთვის კი არ იმუშავებს, არამედ დედებისა და ბიზნესმენებისთვისაც, თავდაცვის ხერხების შესწავლა უნდათ, რათა ქუჩაში უსაფრთხოდ იარონ. აგრეთვე პროგრამების შემუშავებენ მოზრდილებისა და ბავშვებისათვის, სამოყვარულო ტურნირებში მონაწილეობა რომ უნდათ. – გაამჟღავნა თავისი გეგმები ახალგზედა საქმოსანმა.**



ჰოლის გამორჩა ის მამაკაცები, დარბაზში მისი ლამაზი მფლობელის საყურებლად მოსვლას რომ აპირებენ. ალბათ მალე არკანზასელთა უმრავლესობა ამ კლუბის გულშემატკივარი იქნება.

უნდა ითქვას, რომ ჰოლის აქტივში 46 გამარჯვება (15 ნოკაუტით), ერთი ფრე და ერთი დამარცხება. მასზე დიდი მოთხოვნაა სამოდელო სააგენტოებშიც. თუმცა ლამაზმანი აცხადებს, რომ ის არ აპირებს სპორტიდან მოდელიორად წასვლას.

ჩოგბურთი

# ანამ მოგებით დაიწყო



**ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა წარმატებით დაიწყო ასპარეზობა კვებეკის (კანადა) საერთაშორისო ტურნირზე.** „ბელ ჩელენჯის“ საპრიზო ფონდია 220 ათასი დოლარი. პირველ წრეში ჩვენებურმა მსოფლიოს ყოფილ მე-8 ჩოგანს, ამჟამად რეიტინგის 90-ე საფეხურზე მყოფ ალისა მოლიკს (ავსტრალია) მოუგო – 3:6, 6:2, 6:2. ამ გამარჯვებით ტატიშვილმა 30 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.

64 უჯრა

# ცუგცვანგი – ვისთვის მეგობარი და ვისთვის მტერი...

ა. გალიცკი 1900



შამათი 3 სვლაში

1. ეf6 – ე:f6
2. მgf8 – ეf5
3. მf7 X

ს. ლოიდი 1885



შამათი 3 სვლაში

1. ეd2 – მ:d2 (...მa3 – მgb3)
2. მc1! – (ცუგცვანგი) ლ:
3. მb3 X

ცუგცვანგი იძულებით სვლას ნიშნავს. ეტლის მხედარში გაცვლის შეთავაზება შავებს საშამათო ქსელში აბამს. კუს „თვითმკვლელობა“ მოგების საწინდარია.

**მოამზადა
თამაზ
შენგელიამ**

ჭაშნიკი

# რატომ? ის ხომ სულ ერთია!

## დედაქალაქიდან დანახული მშობლიური რაიონის შუქ-ჩრდილები

**დილით, ახალგაღვიძებული მშრომელი კაცი პირველად თვალს ცისკენ გააპარებს, რადგან ამინდზეა დამოკიდებული, თუ რას გააკეთებს, როგორ დაგეგმავს და გაანაწილებს იმდღევანდელ საქმიანობას... უსაქმური კი „ბირჟას" გახედავს. ეს ბოლო რამდენიმე წელია, სოფელში ბირჟას დილიდანვე აქტიურად „ამაგრებენ" უკვე არა მარტო ახალგაზრდები, არამედ მათ „მიტსმასნილი" ასაკოვანი უსაქმურები თუ იძულებით უსაქმურები...**

ასეა ჩემს ხარაგაულშიც, სოფლის მკვდარი ინფრასტრუქტურა ვერ აძლევს საშუალებას გლეხს, თუნდაც საბანკო სესხით ისარგებლოს თავისი მეურნეობის განსავითარებლად, ხშირად იმასაც აღწევს დანიშნულების ადგილამდე და ფაქტობრივად ყოველგვარ სამუშაოზე თანახმაა, ოღონდაც როგორმე მატერიალურად დაეხმაროს ხარაგაულში დარჩენილ ოჯახს.

აი ამიტომაა, რომ სასიცოცხლო ძალისგან დაიცალა სოფელი, ამიტომაა, რომ კატასტროფულად იკლო შობადობამ რაიონში და ამიტომაა, რომ ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ცოტა პირველკლასელი აღებს სკოლის კარს...

ცხადზე უცხადესია, რომ მომავალი თაობა ვერ ხედავს სოფელში იმ ჰორიზონტს, სადაც ფრთები უნდა გაშალოს, კამარა შეკრას და გაინავარდოს, ამიტომაც ტოვებენ ახალგაზრდები სოფელს.



ვერ ახერხებს, რომ დროულად დაამუშაოს მიწა, შეიტანოს ნარგავებში სასუქი თუ ქიმიკატები, გვალვის შემთხვევაში მორწყას ნათესები...

თუ მოსავალი არ იქნება, მას გაუჭირდება შინაური ცხოველებისა თუ ფრინველების გამოკვება, ამ ყველაფერმა კი შეიძლება ოჯახი წლიური სარჩოს გარეშე დატოვოს.

უმეტეს შემთხვევაში, გლეხი მარტოა ბუნებისა და იმ მიწის წინაშე, რომელიც, თუ მასში ოფლი არ ჩაღვარე და ბოლომდე არ დაიხარჯე, ბევრს არაფერს გამოიმეტებს.

რაც შეეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, ეს საკითხიც მძიმედ დგას სოფელში იმავე მოუწესრიგებელი თუ საერთოდ არარსებული ინფრასტრუქტურის გამო...

ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდები, ხედავენ რა მათი მშობლებისა თუ მეზობლების თავდაუზოგავ შრომას მიწაზე, რომელსაც არცთუ ისე დიდი სარგებელი მოაქვს ფინანსური თვალსაზრისით, აღარ უჩნდებათ სურვილი, გაჰყვნენ მათს გზას და ან „ბირჟაზე" ათენ-აღამებენ, ანდა პრობლემებთან ბრძოლას მისგან გარიდებას ამჯობინებენ და მიდიან კიდეც სხვა, ახალი პრობლემების საძებნელად. ხოლო რაკი მშობლიურ კუთხეში მისთვის შესაფერისი სამსახური არ გამოიძებნა, ხარაგაულელი კაცი, იმის მიუხედავად, რომ ვერ იღებს უცხოეთში სამუშაო ვიზას, მაინც რის ვაივაგლახით შეაგროვებს ხოლმე გასამგზავრებელ თანხას. თუ გაუმართლებს, ათასი დამცირებისა და წვალების ფასად ჩა-

ძლიერნი ამა ქვეყნისანი ალბათ საჭიროდ არ თვლიან, ჯეროვანი და, რაც მთავარია, გამიზნული, სისტემური ყურადღება მიაქციონ რეგიონების განვითარებას. და არა ისეთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზედაპირული, უფრო მოჩვენებითს რომ ჰგავს.

ხომ ლამაზდება ბათუმი, თბილისი, სიღნაღი, ლამაზდება, მაგრამ რეგიონებში მცხოვრებთა ნახევარზე მეტს ისიც კი არ შეუძლია, ულამაზეს ბათუმს რამდენიმე დღით მაინც ეწვიოს დასასვენებლად თუ არა, როგორც იტყვიან, თვალისთვის წყლის დასალევინებლად მაინც ეწვიოს, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

ეეჰ, არადა, როგორი პურ-მარილი იციან ხარაგაულში, როგორი თბილი დახვედრა, როგორი ლამაზი სოფლები და სუფთა ჰაერია ჩვენთან (ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვი გვაწუხებს თუ რა?ძ, როგორ წარმატებულად გამოდიან ხარაგაულელი ბავშვები რესპუბლიკურ კონკურსებსა თუ ოლიმპიადებზე და კიდევ სხვა მრავალი...

ამიტომაც მეტი ხელშეწყობა, მეტი თანადგომა, გაფრთხილება გვჭირდება, რომ კიდევ უფრო გავიზარდოთ და გავძლიერდეთ.

ჰმ, ბატონებო, რაო, სულერთია თქვენთვის ხარაგაული? რატომ, ის ხომ სულ ერთია..!

**ქეთევან მაჭავარიანი,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების II კურსის სტუდენტი.**

მადლიერი ხსოვნა

# ქეთევან კანდელაკი

ორმოცი დღის წინ საააქაოს განერიდა ქეთევან კანდელაკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამაგდარი ლექტორი, ინგლისური ენის ბრწყინვალე სპეციალისტი, სტუდენტთა არაერთი თაობის დახელოვნებული აღმზრდელი.

ქართულ საზოგადოებას დააკლდა მისი ნამდვილი მშვენება. ქალბატონი ქეთოს ნატიფი ფიზიკური სილამაზე მშვენიერების რანგში აჰყავდა მის ღრმა ინტელექტს, სულიერ სიფაქიზესა და ზნეობრივ სიწმინდეს. მათ კი მტკიცე ბალავრად და მეზჭედ ედგა ძველი ტრადიციული კულტურული ოჯახი, რომელიც ქ-ნი ქეთოს გზით შემდგომ დიდი ნიკო ლორთქიფანიძის ოჯახს დაუმოყვრდა...



ქეთო კანდელაკის ამ ქვეყნიდან წასვლით გამოწვეულ დანაკლისს ამძაფრებს მისი პიროვნების გააზრება ერთგვარი დისტანცირებით, რაც განსაკუთრებით ხელშესახებია ახალგაზრდობის კონტექსტში: ქალბატონი ქეთოს მიერ ხელდასხმულ აღზრდილებს, რომლებიც ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმატებით საქმიანობენ, სამართლიანად მოაქვთ თავი ქეთო კანდელაკის სკოლის მოწაფეობით, ეამაყებათ, რომ ცხოვრებამ მასთან შეხვედრის ბედნიერება არგუნა, და მათი ეს გრძნობები ჩვენთვის, ქალბატონ ქეთოს ნაცნობ-მეგობრებისთვის სრულიად გასაგები და გასაზიარებელია.

პირადად მე არ მომსწრებია მის სტუდენტად ყოფნის სიამოვნება, მაგრამ როცა (უკვე „დიდობაში") დავუახლოვდი და მანაც დამიახლოვა, ყოველი ჩვენი შეხვედრა ჩემთვის სამუდამოდ დარჩება სანიმუშო გაკვეთილებად არა მარტო პროფესიონალიზმისა, არამედ კეთილშობილებისა და დიდსულოვნებისა — ადამიანობის ამ უმაღლესი და უმდიდრესი გვირგვინისა.

თავად ქეთო კანდელაკმა ახალგაზრდობიდანვე კარგად შეითვისა ჭეშმარიტი მასწავლებლის ფასი, რასაც მოწმობს მისი მოწიწებითი დამოკიდებულება უნივერსიტეტის ადრინდელი პროფესურისადმი. რამდენადაც მახსოვს, მის მიერ განსაკუთრებით გამორჩეულ პიროვნებებად სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ ერეკლე ტატიშვილი და გრიგოლ კიკნაძე. ეს უკანასკნელი მან დიდი მოკრძალებითა და მადლიერებით მოიგონა ესეიში „სიტყვითა და სიტყვის მიღმა" (დაიბეჭდა გრიგოლ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში 2003 წელს). ამ წერილში თვალსაჩინოდ გაცხადდა მასწავლებლისა და მოწაფის სიტყვიერი თუ უსიტყვო (და ამიტომ კიდევ უფრო მეტყველი!) ურთიერთგაგება.

მოგვიანებით მადლიერი მოწაფე თავად ჩაუდგა კვალში ძვირფას მასწავლებლებს და იქცა თავის სტუდენტთა პროფესიულ და ზნეობრივ ორიენტირად...

ქეთევან კანდელაკს ასულდგმულებდა საქართველოში განათლებისა და კულტურის პროგრესის იდეა. მისი სანუკვარი მიზანი იყო ადამიანობის ამ ორი ღერძისათვის ღირსეული ადგილის მიჩენა სამშობლოში (სათანადო მექანიზმების ეტალონად მას დიდი ბრიტანეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა მოჰყავდაძ. ამიტომაც ქეთო კანდელაკის სახელი მარად მოსაგონარი დარჩება ყველასათვის, ვისთვისაც ახლობელი და სისხლხორცეულია ქართული კულტურისა და განათლების ეს უმაღლესი ინტელექტუალური და სულიერი ფასეულობანი.

ქეთო კანდელაკს დარჩა ძვირფასი ნამუშაკევი, უამრავი ჩანაწერი თუ ამონაჭერი, სქემა თუ სხვა სახის მასალა, რომლის წიგნად ქცევისათვის მას არ უზრუნია (და ბოლო წლებში არც მძიმე ავადმყოფობას მიუცია მისთვის საამისო საშუალებაძ. ქ-ნ ქეთოს აშკარად სწავლა-სწავლების პროცესი უფრო იზიდავდა, ვიდრე შეჯამებისა (თუმც თეორიულ განზოგადებაშიც არანაკლებ ძლიერი იყოძ. მისი მეცნიერული ინტერესები უპირატესად ინგლისურ ფრაზეოლოგიასა და სტილისტიკაში იკვეთებოდა (აკი დისერტაციაც მან იდიომატიკის საკითხებს მიუძღვნა!ძ. იმედია, უახლოესი კოლეგები და საუკეთესო მოწაფეები ამ ნამუშაკევს უპატრონებენ, რათა მომდევნო თაობებს მიეცეთ საშუალება, დაეუფლონ უკეთეს გზებს ენის წიაღში, მის სიღრმეებში შესაღწევად.

როგორც ყველა ჭეშმარიტად კულტურული ადამიანი, ქალბატონი ქეთო უაღრესად თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი ბრძანდებოდა, ცხოვრების წესად ჰქონდა სხვისთვის შეწუხება, სხვის შეწუხებას კი ერიდებოდა — თავმოყვარეობა (და არა პატივმოყვარეობაძ არ აძლევდა ამის ნებას. შემთხვევითი არც ის მგონია, რომ სამზეო დატოვა სწორედ ზაფხულში, ყველაზე ხანგრძლივი არდადეგების დროს, და ესეც მისივე პედაგოგიური კულტურის ერთგვარ ნაწილად მესახება: თითქოს უჭირდა თავისი სტუდენტების მიტოვება სწავლის პროცესში, თითქოს ამ დროს მას სიკვდილის უფლება არ ჰქონდა და მარტოოდენ ზაფხულის არდადეგები თუ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი გარდაცვალების ერთადერთი გამამართლებელი „ალიბი"...

მართლაც შესაბრალისნი არიან ის სტუდენტები, რომლებიც ქეთო კანდელაკის „წვრთასა არ მოიწყინებდნენ", ერთიორად კი — ისინი, რომელნიც ჯერ არ შეხვედროდნენ ქალბატონ ქეთოს და ამიტომ ველარასდროს ინებივრებენ მასთან ურთიერთობის ფუფუნებით...

დღეს კვლავ ვიხსენებთ ძვირფას ქალბატონ ქეთოს — რა თქმა უნდა, დიდი გულისტკივილით, მაგრამ ამასთანავე — დიდი მადლიერების გრძნობითაც.

ღმერთმა ულხინოს მის კეთილშობილ სულს!

**შუქია აფრიდონიძე**

საოპერო თეატრი გთავაზობთ

## „მინდიასა" და „ნაბუქოს" საკონცერტო ვერსია

**თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 18, 19 სექტემბერს 19 საათზე, ტრადიციულად, გიწვევთ ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში (დავით აღმაშენებლის გამზ. №127ძ. თეატრის გუნდი, ორკესტრი და სოლისტები საკონცერტო ვერსიით წარმოადგენენ ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას" (18 სექტემბერიძ და ჯუზეპე ვერდის „ნაბუქოს" (19 სექტემბერიძ.**

„მინდიაში" რევაზ ტაკიძის დირიჟორობით იმღერებენ — თეიმურაზ გუგუშვილი, ირინე თაბორიძე, მამუკა ტეფნაძე, ვანო გალუაშვილი, ტარიელ ჭიჭინაძე.

„ნაბუქოში" მთავარ პარტიებს შეასრულებენ — სულხან გველესიანი, ირაკლი კახიძე, კახაბერ თეთვაძე, ნანა ქავთარაშვილი, ელენა პუტილოვა, ტარიელ ჭიჭინაძე, თამაზ საგინაძე, მანანა იორდანიშვილი. ოპერას დირიჟორი დავით კინწურაშვილი წარუძღვება.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 1953 წლის მექანიკური ფაკულტეტის 548 ჯგუფის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკურსელის

კონსტანტინე (კუკურიძ თევდორაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აკადემიკოსები: ალექსანდრე კუჭუხიძე, ნოდარ ჭითანავა, ლეო ჩიქავა, რომან კუჭუხიძე, თამაზ იმედაძე, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, თამაზ დანელია, ჯიმი მიქელაძე, ვლადიმერ გვარჯალაძე, ლევან გვაზავა, პარმენ ლემონჯავა, გიორგი ხაზარაძე და ჯემალ ჯინჯოლავა თანაგრძნობას უცხადებენ კოტე კუჭუხიძის ოჯახს დედის

აფროდიტა (თინაძ კუჭუხიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ბიძინა კარტოზიას და

ფატი კარტოზია (ნანეიშვილიძ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77;
899 32-85-76.



ჩვენს მეგობარს
ლევან დარსალიას
ვულოცავთ დაბადების 60 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას წარმატებას მის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ვაჟა ფიფია, ვახტანგ ლატარია.

## დაიჯესტი

### როდის იქნება „მეორე წარღვნა"?

**ლოს-ანჟელესის კალიფორნიის უნივერსიტეტის იტალიელი მკვლევარის საბრინა სფორცას მტკიცებით, მან შექლო „და ვინჩის" კოდის გაშიფვრა, რომელიც, მისივე თქმით, ნამდვილად არსებობს, თუმცა საერთო არაფერი აქვს დენ ბრაუნის სკანდალურ რომანში ნახსენებ კოდთან.**

და ვინჩის ნამდვილი კოდით დაშიფრულია მის



ცნობილ ფერწერულ ტილოში „საიდუმლო სერობაში" „ჩახატული" წინასწარმეტყველება. მის თანახმად, 4006 წლის 21 მარტს დედამიწაზე მსოფლიო წარღვნა დაიწყება, რომელიც იმავე წლის 1 ნოემბრამდე გასტანს, როცა კაცობრიობის აღსასრული დადგება. თუმცა სწორედ წარღვნა მისცემს კაცობრიობას ახალი სტარტის დაწყების შესაძლებლობას.

სინიორა საბრინა, რომელიც ამჟამად ვატიკანში მუშაობს, გაშიფვრის წვრილმანებს არ ამჟღავნებს. იგი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ გზავნილი განთავსებულია მაცხოვრის ფიგურის უკან დახატულ მომრგვალებულ სარკმელში, რომელსაც გვერდებიდან კიდევ ორი ფანჯარა აქვს. ზოდიაქოსა და სხვა ნიშნების გარდა, ფანჯრებში კიდევ ჩახატულია 24 ლათინური ასო. მკვლევარის აზრით, თითოეული ასო დღე-ღამის გარკვეულ საათს შეესაბამება.

ყველა საიდუმლოს გამხელას საბრინა სფორცა წიგნში აპირებს, რომელზეც ამჟამად მუშაობს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ „საიდუმლო სერობა" – ესაა უზარმაზარი – 460X880 სანტიმეტრის ზომის ფრესკა, რომელიც ლეონარდო და ვინჩიმ 1495-დან 1497 წლებამდე პერიოდში დახატა. ამჟამად იგი იტალიაში, მილანის მონასტერ სანტა მარია დელლე გრაციაშია დაცული.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ისააკ ნიუტონმა ქვეყნიერების დასასრული 2060 წელს „დანიშნა" და ეს თარიღი ბიბლიის, კერძოდ, წინასწარმეტყველის დანიელის წიგნიდან (ძველი აღთქმა) გაშიფრა.

თუ რა გახდა ლეონარდოს წინასწარმეტყველების საფუძველი, ჯერჯერობით უცნობია.

**სურათზე: ქვეყნიერების დასასრულის წინასწარმეტყველება დაშიფრულია ცენტრალურ და ორ გვერდით მომრგვალებულ სარკმელში.**

### ჩასასვენებლად განწირული „უდაბნოს თეთრი მზე"

**საბჭოთა კინოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფილმი, პირველი საბჭოური „ვესტერნი" „უდაბნოს თეთრი მზე", ეკრანებზე ზუსტად 40 წლის წინათ, 1970 წელს დიდი გაჭირვებით გამოვიდა. გაქირავების პირველსავე წელიწადს რეჟისორ ვლადიმერ მოტილის ახალი კინოსურათი 50 მილიონმა კაცმა ნახა, ხოლო მისი მრავალი ფრაზა „ხალხურ" ციტატად გადაიქცა.**

თუმცა გასაოცარი ეს კი არა, ის არის, რომ ფილმი საერთოდ გამოვიდა ეკრანებზე, რადგან თავდაპირველად კინოჩინოსნებმა სცენარი დაიწუნეს, მერე კი მისი გადაღება არც ერთმა კინორეჟისორმა არ იკისრა. მის გადაღებაზე თავდაპირველად უარი ვლადიმერ მოტილმაც განაცხადა, თუმცა მერე მას ისეთი ვითარება შეექმნა – კინოფილმით „ჟენია, ჟენეჩკა და „კატიუშას" შემდეგ იგი „არაკეთილსაიმედოთა" სიაში მოხვდა – რომ იძულებული გახდა დათანხმებოდა.

უამრავი სირთულე და უსიამოვნება „უდაბნოს თეთრ მზეს" გადაღების დაწყებისთანავე შეხვდა. „როცა გადაღებებზე მახაჩკალაში ჩავედით, პირველსავე დღეს „სრული პროგრამით" გაგვქურდეს! ყველაფერი მოგვპარეს: კოსტიუმები, ბუტაფორული იარაღი, ხმლები, მოკლედ, ლამის მთელი რეკვიზიტი. ყველანი შოკში ვიყავით, არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა, – იხსენებს ოპერატორის ასისტენტი იგორ კლებანოვი. – თუმცა მდგომარეობიდან ერთობ ორიგინალურად გამოვედით: გზა გამოვძებნეთ მახაჩკალის მთავარ მაფიოზასთან და მცირე როლი შევთავაზეთ, რის სანაცვლოდ მოპარულის დაბრუნება ვთხოვეთ, რაზეც შევთანხმდით კიდეც. რეკვიზიტი მაშინვე „გამოჩნდა", მაფიოზმა კი, არსებითად, საკუთარი თავი განასახიერა. გახსოვთ ის ყაჩაღი, რომელსაც კატარღის წინ კლავენ? ეს სწორედ ის კაცი იყო"!

გადაღება აუტანელ პირობებში მიმდინარეობდა – აუტანელ სიცხეში, ქვიშის ქარიშხლებში... მაგა-



ლითად, სცენა, სადაც სპარტაკ მიშულინი კისრამდე ქვიშაშია ჩაფლული, მსახიობი ხის ყუთში იყო ჩასმული, რადგან სხვა შემთხვევაში იგი უბრალოდ... მოიხარშებოდა, რადგან ქვიშა 75 გრადუსამდე იყო გავარვარებული! თანაც ფირი, რომელზეც ამ სცენას იღებდნენ, წუნიანი გამოდგა და როცა ეს ამბავი მიშულინმა გაიგო, ლამის ჭკუიდან გადადგა...

მუშა მასალის შემდეგ კინოკომისიამ ნამუშევარი გააცამტვერა, ამიტომ ფილმი ოთხი თვით „დაკონსერვეს", მერე რეჟისორს მრავალი სცენა თავიდან გადააღებინეს, მათ შორის ფინალი, სადაც აბდულას ცოლები მწარედ დასტიროდნენ მის ცხედარს... თუმცა ამის შემდეგაც ფილმს „წითელი შუქი" აუნთეს და „უდაბნოს თეთრი მზეც" კინოსტუდიის საცავებში „ჩაესვენა".

კაცმა არ იცის ფილმს რა ბედი ეწეოდა, იგი ერთხელ ბრეჟნევს რომ არ ენახა, რომელსაც კინოსურათი ძალიან მოეწონა, რის შემდეგ, ცხადია, კინოჩინოსნებს სხვა გზა აღარ ჰქონდათ და „უდაბნოს თეთრი მზე" ქვეყანამ ნახა.

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

## ანეკდოტები

**– დაიხსომეთ, ბავშვებო! არასწორია გამოთქმა: „პრეზიდენტის პრემიერა". უნდა თქვათ ასე: „პრემიერის პრეზიდენტი"...**

* * *

**– რა არის ქალური ბედნიერება?**

**– ეს არის ის, როდესაც ქალი თავის ყოფილ ქმარს ხედავს ძალიან შეუხედავი, ლამის მახინჯი დედაკაცის გვერდით.**



**პოლიტიკოსები – ეს ის ხალხია, რომლებიც, როგორც კი გვირაბის ბოლოს შუქს დალანდავენ, მაშინვე კიდევ ყიდულობენ პატარა გვირაბს.**

* * *

**არაფერი ისე არ ამცირებს მანქანისა და ბინის ფასს, როგორც მათი გაყიდვის მცდელობა.**

* * *

**ჭკვიანი ადამიანები კი არ განაწყენდებიან ხოლმე, არამედ მაშინვე იწყებენ შურისძიების დაგეგმვას.**

## დღის კალენდარი — 15 სექტემბერი

**ხსენება მოწამისა მამაისი (275წ, მამისა მისისა თეოდოტესი და დედისა მისისა რუფინასი (IIIს; ღირსისა იოანე მმარხველისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (595წ; მოწამეთა 3628-თა ნიკომიდიელთა (III-IVს.**



**ამოდის 05.37**
**ჩადის 18.18**



**ამოდის 09.15**
**ჩადის 19.36**

### დაიბადნენ:

**1890 – აგათა კრისტი,** ინგლისელი მწერალი, გარდაიცვალა 1976 წელს.

**1908 – ირაკლი ანდრონიკოვი,** ქართული წარმოშობის რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1990 წელს.

**1915 – გიორგი ტოვსტონოგოვი,** რეჟისორი, გარდაიცვალა 1978 წელს.

**1929 – რევაზ სალუქვაძე,** ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**1956 – ეთერ ანჯაფარიძე,** პიანისტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მუსიკალური კონსერვატორიის პროფესორი.

### გარდაიცვალნენ:

**1851 – ჯეიმს ფენიმორ კუპერი,** ამერიკელი მწერალი, ამერიკული რომანის ფუძემდებელი.

**1938 – ტომას ვულფი,** ამერიკელი მწერალი.

### მოვლენები:

**1615** – ალავერდში დავით ჯანდიერის მეთაურობით დაიწყო კახეთის აჯანყება ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ.

**1776** – ბრიტანეთის ჯარებმა ნიუ-იორკის ოკუპაცია მოახდინეს.

**1857** – ტიმოთი ალდერზმა საბეჭდი მანქანა დააპატენტა.

**1883** – გაიხსნა ტეხასის უნივერსიტეტი.

**1928** – ალექსანდრ ფლემინგმა აღმოაჩინა ანტიბიოტიკ პენიცილინის შემადგენლობა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**კოსტა-რიკა** – დამოუკიდებლობის დღე.

**იაპონია** – უფროსებისადმი პატივისცემის დღე.

**მექსიკა** – დამოუკიდებლობის დღე.

**მელიანიუსი**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.